ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 8 აპრილი 1997 №39 (404) ფასი 40 თეთრი

## უემბლიმდე 22 დღე დარჩა



ორი ნაკრების საუკეთესო ახალგაზრდების, ბექემისა და კობიაშვილის კვლავ შეხვედრა სათუოა

## შირერი უკვე თამაშობს, კობიაშვილმა კი ოპერაცია გაიკეთა

ინგლის — საქართველოს მატჩამდე 22 დღე დარჩა. ამ რანგის შეხვედრის კვალობაზე ეს დრო არც ისე დიდია და ორივე გუნდის მწვრთნელებს დღითი-დღე ემატებათ საფიქრალ-საზრუნავი. ჩვენი ეროვნული გუნდის წევრები აქამდე სრულ მზადყოფნაში იყვნენ, არცერთს ტრავმა არ აწუხებდა, ამ დღეებში კი სამწუხარო ამბავი მოხდა: რუსეთის ჩემპიონატის მესამე ტურის შეხვედრაში („ალანია“ — „ზენიტი“) ლევან კობიაშვილი სამ პეტერბურგელ მცველს შორის მოექცა, ცუდად დაეცა და დაშავდა. იქაურმა ექიმებმა, ლევანი თვენახევარი ვერ ივარჯიშებსო, ჯერ ეს თქვეს, მერე კი გაირკვა, რომ ეს დიაგნოზი ნაჩქარევი გამოდგა. უფრო გულდასმით გასინჯვით ტრავმა ნაკლებად მძიმე გამოდგა.

ვლადიკავკაზს ტელეფონით რომ შევეხმიანეთ, „ალანიას“ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა დაგვამშვიდა — ლევანს ლავიწის ძვლის გატეხვა კი არა, მხრის მყესების გაწყვეტა დაუდგინეს და უკვე ოპერაციაც გაუკეთეს. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის და იმედი გვაქვს, რომ კობიაშვილი 25 აპრილიდან ვარჯიშს განაახლებსო...

ამის მერე ხუთ დღეში კი „უემბლი“ გველოდება. ვნახოთ, თუ შეძლებს კობიაშვილი ამ მცირე დროში ფორმის აღდგენას და უწინდელივით თამაშს. ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცის დავით ყიფიანის თქმით, ყველაფერი ოპერაციისშემდგომ სარეაბილიტაციო პერიოდზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება ინგლისელებს, მათ რიგებში მატებაც არის და კლებაც. ჰოდლის გასახარად, მონდორს დაუბრუნდა ნაკრების კაპიტანი ალან შირერი, რომლის ასეთი სწრაფი მომჯობინება ექიმებსაც კი გაუკვირდათ. შირერმა დაბრუნება გოლით აღნიშნა და თამაშისასაც სოლიდურად გამოიყურებოდა. დანაკლისი კი არსენალელი ტონი ადამსის ტრავმა გახლავთ. მან მექსიკელებთან მატჩიც გამოტოვა და ვერც ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში მიიღო მონაწილეობა. „არსენალის“ მწვრთნელის არსენ ვენგერის თქმით, ადამსს კოჭის ტრავმა გაუმიზეზდა და აუტანელი ტკივილები დაეწყო. ქართველებთან მატჩის გამოტოვების გარდა ტონიმ შესაძლოა ვერც პოლონელებთან ითამაშოს.

## ბათუმში ჩემპიონატის ფინალია

ადვილი შესაძლებელია, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის დღევანდელმა, XXI ტურმა ბევრს რამეს მოჰფინოს ნათელი. არც ისაა გამორიცხული, დღეს, ფაქტიურად, ჩემპიონის ვინაობაც გაირკვეს, პრიზიორებისაც და იმათიც, ვისაც პირველი ჯგუფის დატოვება მოუწევთ. ტურის ცენტრალური მატჩი ბათუმში გაიმართება. თუ ჩვენი უცვლელი ჩემპიონი შეხვედრას თავის სასარგებლოდ დაასრულებს, თამამად შეიძლება დინამოელებს მაშინვე მივულოცოთ მერვედ გაჩემპიონება — მათი გამჩერებელი ხომ აღარავინ დარჩება. თუ „ბათუმმა“ იყოჩაღა, მაშინ მას პირველობის გარკვეული შანსი კიდევ რჩება. ამ ორის პირველი წრის ორთაბრძოლა ეროვნულ სტადიონზე ფრედ — 3:3 დასრულდა. მაშინ „დინამოს“ ერთობ გაუჭირდა. ის კი არა, ბოლო წუთებამდე აგებდა კიდეც. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა: „დინამო“ მორიგად გადახალისდა, „ბათუმი“ კი მოგების სურვილით შეპყრობილა. ვნახოთ, რა მოხდება, წლეულს ვინ იმარჯვებს, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ თბილისელებს ბათუმში პირველი ეროვნული ჩემპიონატის მერე არ წაუგიათ (მაშინ „ბათუმმა“ 2:0 იძალა), ამ სეზონის დასაწყისში კი „დინამომ“ „ბათუმს“ სუპერთასის გათამაშებაში 4:0 მოუგო.

იმის მიხედვით, თუ როგორ დამთავრდება მატჩი ბათუმში, ფოთელებსაც თავისებური შანსი უჩნდებათ. ბათუმელთა მარცხის შემთხვევაში „კოლხეთს“ აჭარელებთან გათანაბრება შეუძლია, მერე კი მეორე ადგილზე გასვლა მათ ვაჟკაცობაზეა დამოკიდებული. ამისთვის „კოლხეთმა“ სამტრედიაში უნდა მოიგოს.

უდაოდ საინტერესო და დაძაბული შეხვედრა გველის ქუთაისში: დიდი შანსია, მეოთხე ადგილზე გასულმა გუნდმა ინტერტოტოზე ითამაშოს, ამ ადგილისთვის კი „ტორპედო“ და „მერანი“ იბრძვიან. რიონისპირელებს შეუძლიათ თბილისელების უპირატესობა სამ ქულამდე შეამცირონ, მაგრამ წაგებას არც „მერანი“ აპირებს, მითუმეტეს რომ, თუ მოიგო, მაშინ ცხრაქულიანი უპირატესობა უზრუნველ ცხოვრებას ჰპირდება.



## გიოს უშვებენ... მაგრამ არ უშვებენ

სააგენტო როიტერმა ასეთი ინფორმაცია გაავრცელა: „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელმა ფრენკ კლარკმა განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარს გიორგი ქინქლაძის შესანარჩუნებლად. თუ „სიტი“ ფლეი-ოფში ვერ მოხვდება და პრემიერლიგაში გადასვლის შანსს დაკარგავს, ქინქლაძეს გუნდიდან წასასვლელად გზა ხსნილი კი ექნება, მაგრამ კლარკმა დასძინა:

— იგი ჩვენი გუნდის გეგმათა უმნიშვნელოვანესი ნაწილია და იმედი მაქვს, რომ თავის ბედს დიდი ხნით დაგვიკავშირებს. თავად გიოც ამბობს, რომ „მანჩესტერ სიტიში“ თავს ბედნიერად გრძნობს და ამით ერთობ გვახარებს.

კლარკმა თავის ფეხბურთელებს უძნელესი მიზანი დაუსახა:

— ვფიქრობ, დარჩენილი რვა მატჩიდან შვიდი უნდა მოვიგოთ. ვიცი, რა რთული დავალებაცაა, მაგრამ სანამ თეორიული შანსი გვაქვს, ფლეი-ოფში გასასვლელად ყველა ღონეს ვიხმართ.

## ფოცხვერიას ვერძაძე ეჩალიჩება

მოსკოვის ცეესკამ რამდენიმე ქართველს რომ დაადგა თვალი, ამ კლუბის პრეზიდენტმა ნუგზარ ვერძაძემ „სარბიელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, თუმცა სასურველ მოთამაშეთა ვინაობის გამხელა არ ისურვა. როგორც შევიტყვეთ, მოსკოველები განსაკუთრებით „შახტიორის“ თავდამსხმელ მიხეილ ფოცხვერიას გადასაბირებლად ირჯებიან. თავად ფოცხვერიამ ეს გვითხრა: „ვერძაძე უკვე მესაუბრა. მართალია, კონკრეტულად არაფერზე შევთანხმებულვართ, მაგრამ მითხრა, „შახტიორის“ უფროსობასთან საფუძვლიანი დალაპარაკება მსურსო. რა გამოვა აქედან, ვერ გეტყვით, რადგან კონტრაქტის მიხედვით დონეცკელებს კიდევ ერთი წელი ვეკუთვნი.“

ჯერჯერობით კი ბათუმში დაშავებული ფოცხვერია მკურნალობს და მალე ვარჯიშებსაც შეუდგება.

## ინგლისში წამსვლელ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

„უემბლიდან“ მიღებულია იმ 23 ჟურნალისტის აკრედიტაციის დამადასტურებელი საბუთი, რომლებიც ინგლის — საქართველოს მატჩზე დასწრებას აპირებენ. კოლეგებს ვთხოვთ დღეს 13 საათზე მობრძანდნენ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში. თან იქონიეთ პასპორტი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და ორი ფოტოსურათი.

# ფეხბურთის ფედერაცია

## პოლიციას, ომონს, მოქალაქეთა კავშირს და სამთავრობო დაცვას ადანაშაულებს...

ის, რაც 30 მარტს სომხებთან თამაშის დაწყებამდე ეროვნული სტადიონის მისადგომებთან მოხდა, ყველა იქ მყოფმა თავის თავზე იწვნია. მატჩამდე ოცი წუთი რჩებოდა, სტადიონის შესასვლელი ლამის ყველა კარი კი დაკეტილი იყო. შედეგად ისეთი ზედახორა გაიმართა, ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ, უმსხვერპლოდ რომ გადავრჩით. არადა, ტრაგედიის საფრთხე რეალური იყო. სტადიონზე შესვლის ორგანიზაცია ფეხბურთის ფედერაციას, კონკრეტულად კი ფედერაციის კომერციული სამსახურის უფროსს რევაზ შავდიას ჰქონია დავალებული. ბუნებრივია, ყველას გვაინტერესებდა პასუხი კითხვაზე — რატომ გაუჭირდათ მაყურებლებს სტადიონზე მოხვედრა და რატომ დასჭირდათ მათ საამისოდ კარის მტვრევა? ამ საკითხთან დაკავშირებით ფედერაციამ შაბათს პრესკონფერენცია მოაწყო.

მედიას ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე და რევაზ შავდია წარუდგნენ. მანამდე ფედერაციისგან შერისხული ჟურნალისტები გაზეთ „ქართული ფეხბურთის“ რედაქციაში უპრობლემოდ შეგვიშვეს და პირველი სიტყვა ვიცე-პრეზიდენტმა აიღო:

— ყველას მოგეხსენებათ, რომ ასეთი თამაშების უკეთ ორგანიზებისთვის ქალაქის მერიაში თათბირი იმართება ხოლმე. ახლაც ასე იყო და თითქმის ყველაფერი ისე მიდიოდა, რომ სტადიონზე სრული წესრიგი უნდა ყოფილიყო. ჩვენი ძირითადი პრობლემა, იცით, სტადიონზე უბილეთო მაყურებლის შესვლაა. ამას ვერაფერი მოვუხერხეთ. კიდევ კარგი, მატჩის დელეგატი ქართველი იყო, თორემ ფიფას გამოგზავნილი აუცილებლად დაგვაჯარიმებდა. სტუმრები უმაღლეს დონეზე მივიღეთ, მათ არავითარი პრობლემა არ შეჰქმნიათ, რაც შეეხება ჩვენს ეროვნულ გუნდს, ხომ გაგიგონიათ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო — შესაბამის სამსახურს ფედერაციამ სთხოვა, მხოლოდ ერთი ღამით მიეცათ უწყვეტად შუქი დილმის ბაზისთვის, მაგრამ თხოვნა არ შესრულებულა. ამიტომ ნაკრების ხელმძღვანელობა იძულებული შეიქნა, ფეხბურთელები შინ გაეშვა. მეორე დღეს კი ელექტროენერგიის პრობლემა მხოლოდ გენერატორის და დიზელის საწვავის შოვნით გადაიჭრა. ერთადერთი, რაც უპრობოდ შეგვისრულეს, ის იყო, რომ სტადიონს ცხელი წყლის პრობლემა არ ჰქონია. ამ ყოველივეზე დაფიქრება და სერიოზული მუშაობა გვმართებს. ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების თამაშების ორგანიზაცია ამჯერად 26 ათასი ლარი დაჯდა, შემოსავალი კი მხოლოდ 15 000 ლარი გახლავთ. მოგეხსენებათ, ფედერაციის შემოსავალი ძირითადად ნაკრებთა საშინაო შეხვედრები და ტელეტრანსლაციის უფლებაა. ამ სახსრებით ჩვენი ნაკრებები უნდა მოვამზადოთ. ამ დროს კი რა ხდება: ტრიბუნებზე 40 ათასი მაყურებელი ზის, ბილეთი კი მხოლოდ 3 ათასი იყიდება. ამ პირობებში რა შემოსავალზე უნდა ვილაპარაკოთ? სტადიონზე რომ უბილეთოებს არ შეეღწიათ, ამისთვის იქ მყოფ ძალოვან სტრუქტურებს უნდა ეზრუნათ, მაგრამ ისინი რატომღაც მხოლოდ მშვიდად მზერას დასჯერდნენ. თუ ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, ნაკრების ოფიციალური მატჩები ეროვნულ სტადიონზე არ ჩატარდეს. ჯერ ზუსტად ვერ ვიტყვით, მაგრამ მოლდოვას ეროვნულ გუნდს ალბათ ბათუმში ვუმასპინძლებთ, ახალგაზრდული ნაკრებები კი ფოთში ითამაშებენ. ამას ისიც განაპირობებს, რომ იტალიელებმა სტადიონის რეკონსტრუქცია უნდა დაიწყონ. თითქმის ყველა საკითხი მოგვარებულია და „ფინეურო კონსალტინგი“ უახლოეს ხანს დაიწყებს საქმიანობას. ამასთან, ეროვნულ სტადიონს უეფაც შეგვირემონტებს. განათების და ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებას სწორედ უეფა კისრულობს. მათ კიდევ ერთი პროექტი შემოგვთავაზეს, კერძოდ ის, რომ უეფა სტადიონზე შესაშვებ ავტომატურ მოწყობილობას დაამონტაჟებს, რა თქმა უნდა, თუ ჩვენმა გულშემატკივარმა ბოლო არ მოუღო...

...30 აპრილი კარს მოგვადგა და ჩვენი ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები ინგლისს უნდა გაემგზავრნონ. უკვე შედგენილია ხარჯთაღრიცხვა და ყოველივე 130 ათასი დოლარი დაჯდება. მგზავრობა ჩარტერული რეისით არ ხერხდება, რადგან ჩარტერი საკმაოდ ძვირი, 70 ათასი დოლარი ღირს.

...იცით, რომ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ასეა: ტელევიზია მატჩების ტრანსლაციის უფლებისთვის ფეხბურთის ფედერაციას სათანადო თანხას უხდის, მაგრამ რადგან ჩვენში ასეთი მდგომარეობაა, ასე შევთანხმდით: ტელევიზია დაახლოებით 40 მატჩის რეპორტაჟს მოაწყობს და ამისთვის 200 ათას ლარს გადაიხდის...

...ახლა ჟურნალისტებზე. ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რატომ გექმნებათ თქვენ პრობლემები. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ჟურნალისტები სტადიონზე თამაშის სანახავად და გასართობად კი არა, არამედ სამუშაოდ მიდიან. მათ ყოველნაირად უნდა შეეწყოთ ხელი. ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს თქვენი ამქრის თავკაცთან ელგუჯა ბერიშვილთან საკმაოდ კონსტრუქციული საუბარი ჰქონდა და ამიერიდან თქვენ წინააღმდეგობებს არ წააწყდებით. ყველა ის ჟურნალისტი, რომელსაც სათანადო საშვი ექნება, თავის სამუშაო ადგილზე უპრობლემოდ მოხვდება. ადრე გქონდათ პრობლემები ფეხბურთის ფედერაციასთან, კერძოდ, ჩემპიონატის მატჩების ოქმების მოთხოვნისას. ამიერიდან ყოველი ტურის მეორე დღეს თქვენ შეგიძლიათ მობრძანდეთ ფედერაციის პრესსამსახურში და სასურველ ოქმებს გაეცნოთ. მოკლედ, ყველაფერს ის სჯობს, საერთო საქმე ერთად ვაკეთოთ, ვითანამშრომლოთ, რათა ქართულმა ფეხბურთმა იხეიროს...

კითხვას, რატომ ღირდა ბილეთი 5 ლარი და არ იყო უფრო იაფი, ვიცე-პრეზიდენტმა ასე უპასუხა: ეს ფასი ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში გამართულ ამ რანგის მატჩის ბილეთის ფასის მხოლოდ 15 პროცენტია. გვესმის, რომ ახლა ყველას უჭირს და აწი ამასაც გავითვალისწინებთ.

ვიცე-პრეზიდენტის შემდეგ სიტყვა რევაზ შავდიას გადაეცა. სწორედ მას უნდა ეპასუხა კითხვაზე, რატომ დაიკეტა კარი და რატომ გახელდა ასე გულშემატკივარი...

გაგრძელება მეორე გვერდზე

## საქართველოს ჩემპიონატი 20 ტური

### დინამო 1:0 გორდა

**დინამო:** ზოიძე, კალაძე, ჯელაძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, დემეტრაძე, ცქიტიშვილი (გ. კვარაცხელია 81), კერძევაძე, ანჩაბაძე, ხომერიკი (წხაიძე 55; დავითნიძე 86)
**გორდა:** კოროშინაძე, ფაცურია, ბექაური, პატარიძე, ხაზვაძე, კარანაძე (ლაბაძე 46; ალადაშვილი 86), შელაძე, არსოშვილი, ბერიძე, მეტრეველი, ჩელებაძე (თ. მუშკუდიანი 81)
1:0 ანჩაბაძე (60)
**მსაჯი:** შ. ხანიაშვილი (თბილისი)

ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ რუსთაველები „დინამოს" ჯეროვან წინააღმდეგობას გაუწევდნენ. არადა, ზუსტად ასე მოხდა: იმ გადაუღებელ და მოსაბეზრებელ წვიმაში „დინამოს" ისე გაუჭირდა გამარჯვება, ადვილი შესაძლებელი იყო, მატჩი ფრედაც დამთავრებულიყო. მართალია, 90 წუთის მანძილზე მასპინძელთა უპირატესობა საგრძნობი გახლდათ, მაგრამ, რაიმე დასამახსოვრებელი მომენტი მხოლოდ ორჯერ შექმნეს: ჯერ დემეტრაძის სახიფათო თავური მოიგერია კოროშინაძემ, მერე ანჩაბაძის ძლიერი დარტყმა. ისე, დინამოელებს სხვა რამდენიმე მომენტიც ჰქონდათ, თუმცა ისეთიც არა, დასაწერად ღირდეს. ერთადერთი გოლიც ისეთი კურიოზული გავიდა, თავად გამტანი ანჩაბაძე დარჩა გაკვირვებული: გოგიჩაიშვილმა მარჯვნიდან შეუტია, შემდეგ დემეტრაძეს გადააწოდა, ამან კი ანჩაბაძეს, რომელიც ისევ დემეტრაძეს უბრუნებდა ბურთს, მაგრამ ფეხიდან აეჭრა და კოროშინაძემაც თვალიდა გააყოლა კარში შეგორებულ ბურთს. რაც შეეხებათ რუსთაველებს, მათ სულ ორჯერ დაარტყეს კარის მიმართულებით: პირველ ტაიმში ჩელებაძემ გააცუდა კარგი მომენტი, მატჩის მიწურულს კი მეტრეველმა შეუჩერებლად ისეთი დაარტყა, ზოიძემ გაჭირვებით მოიგერია. მოკლედ, შაბათის მატჩი ისეთივე იყო, როგორიც იმდღევანდელი ამინდი.



### ოდიში 3:1 ივერია

**ოდიში:** აბუსერიძე (ნაცრეცი 46), ჯაბუა (კუტალია 46), გუჩუა, ქვდია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი, ჯოჯუა, ნიტაიშვილი, გაბედავა, კალანდაძე
**ივერია:** აბაშიძე, ქაჭუა, შ. ლაცაბიძე, გურამ ლომიძე (გლუნჩაძე 62), ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ტყემალაძე, ჩადუნელი, ზირაქაძე, ნივნივაძე, თორია
1:0 გაბედავა (15), 1:1 ლომიძე (26), 2:1 გაბედავა (38), 3:1 ახვლედიანი (48)
**გაფრთხილება:** ნაცრეცი
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

### გურია 3:2 დილა

**გურია:** ბაბაშვილი, თ. ღურწკაია, თოლორდავა (პატარაია 89), ქაქავა, ებრალიძე (ყანჩაშვილი 77), ყოლბაია, ცერცვაძე, განევი (კუკულაძე 46), გვიანიძე, გელაძე, კ. სიდამონიძე
**დილა:** ყოლკოვი, ფეზუაშვილი, რ. სიჭინავა, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ცხალაძე, მარეხაშვილი, მჭედლიშვილი, რევაზიშვილი (ციცქიშვილი 70), კაიდარაშვილი (წკრიალაშვილი 56), გვაზავა (ტაბატაძე 81)
1:0 გელაძე (21), 1:1 მარეხაშვილი (29), 1:2 გვაზავა (34), 2:2 თოლორდავა (44), 3:2 გელაძე (87)
**მსაჯი:** 8. მალალურაძე (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 16 | 2 | 1 | 67:15 | 50 |
| ბათუმი | 20 | 13 | 6 | 1 | 50:11 | 45 |
| კოლხეთი | 20 | 13 | 3 | 4 | 46:21 | 42 |
| მერანი | 20 | 11 | 5 | 4 | 31:18 | 38 |
| ტორპედო | 20 | 10 | 2 | 8 | 47:39 | 32 |
| მარგვეთი | 19 | 10 | 1 | 8 | 31:37 | 31 |
| ოდიში | 20 | 9 | 1 | 10 | 34:27 | 28 |
| გურია | 20 | 8 | 3 | 9 | 23:39 | 27 |
| დილა | 19 | 6 | 6 | 7 | 19:25 | 24 |
| სამტრედია | 20 | 7 | 1 | 12 | 22:40 | 22 |
| თსუ | 20 | 4 | 8 | 8 | 20:26 | 20 |
| სამგურალი | 19 | 5 | 4 | 10 | 18:35 | 19 |
| სიონი | 19 | 5 | 4 | 10 | 13:22 | 19 |
| გორდა | 20 | 5 | 2 | 13 | 26:41 | 17 |
| ივერია | 19 | 3 | 5 | 11 | 14:35 | 14 |
| კახეთი | 20 | 5 | 1 | 14 | 12:42 | 11 |



ბოლოსწინა „სარბიელში" პოლონეთ — იტალიის მატჩის მხილველი რევაზ ძოძუაშვილის სახელდახელო კომენტარი შემოგთავაზეთ, ხოჟუვიდან დაბრუნებულ საქართველოს ნაკრების მწვრთნელთაგანს კი უფრო ვრცლად და საფუძვლიანად სასაუბროდაც შევხვდით.

— ძალიან კარგი საქმე გაკეთდა — პოლონეთ-იტალიის მატჩი აუცილებლად

## რევაზ ძოძუაშვილი: სომხებს არ წაუგიათ, ჩვენ მოვიგეთ!

სანახავი იყო. მართალია, ტელევიზორითაც შეიძლებოდა ამ შეხვედრისთვის თვალის დევნება, მაგრამ სად ეკრანი, სადაც მხოლოდ ბურთი ჩანს და, სად ტრიბუნა. დღევანდელი ფეხბურთი სულ სხვაა, მნიშვნელოვნად განსხვავდება 70-იანი წლების თამაშისგან, როცა მოვლენები ძირითადად იქ ვითარდებოდა, სადაც ბურთი იყო. დღეს სწორედ უბურთოდ თამაშს ენიჭება პრიორიტეტი და, წარმოიდგინეთ, ტელევიზორით როგორი შესაფასებელი იქნებოდა ჩვენი მეტოქეების თამაში. როცა ცხადლივ ხედავ თითოეულ ფეხბურთელს, მნიშვნელოვნად გიადვილდება მისი შეფასება. ყველა ნაბიჯს აფიქსირებ და ხვდები, რომელია სუსტი და ძლიერი მხარე. თან პიროვნულადაც არანაკლებ შეიცნობ, რაც ასევე მნიშვნელოვანია დღევანდელ ფეხბურთში. თუმცა, რასაც ახლა ვამბობ, არავისთვის არ არის ახალი ამბავი. ასე, ნელ-ნელა, მეტოქეთა ყველა მატჩი უნდა ვნახოთ და მთლიანობაში ყველა გუნდზე მეტ-ნაკლები წარმოდგენა შეგვექმნება.

**— ახლა მთავარზე. როგორ შეაფასებდით ორივე გუნდის თამაშს?**

— ხოჟუვის მატჩი ინგლის-იტალიის თითქმის ანალოგიური იყო. პოლონელებმა 3-5-2 სქემით ითამაშეს. ოღონდ, ინგლისელებისგან განსხვავებით, ამათი ერთი თავდამსხმელი ოდნავ უკან იყო დაწეული. გარდა ამისა, პოლონელთა ქმედებაში ცოტა გერმანულიც შევნიშნე — მათი ორი ფეხბურთელი ძოლასა და ვიერის არა მარტო საკუთარი კარის სიახლოვეს მეურვეობდა, არამედ მთელს მოედანზე დასდევდა და ბურთის თავისუფლად მიღების საშუალებას პრაქტიკულად არ აძლევდა. ამასთან, პოლონელებს აქცენტი მოედნის ცენტრზე ჰქონდათ გადატანილი, ისინი იტალიელებზე მეტად აქტიურობდნენ და ცდილობდნენ, ბურთი ეკონტროლებინათ, შემდეგ კი სწრაფი თავდამსხმელების იმედად იყვნენ. მართალია, დაცვასაც სათანადო ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ ისეც არ ყოფილა საქმე, თითქოს მასპინძლებს გაუვალი ბასტიონი აეგოთ. ძირითადად ნახევარდაცვაში სწორი თამაშის ორგანიზაციით იყვნენ დაკავებულნი. ახლა იტალიელებზე. მათ, ისევე, როგორც ინგლისში, ხოჟუვშიც 4-4-2 ირჩიეს. ეტყობა, ჩეზარე მალდინი უპირატესობას ასეთ სქემას ანიჭებს. ჯერჯერობით უმართლებს. სულ ადვილი შესაძლებელი გახლდათ იტალიელების დამარცხება, მასპინძელთა ნახევარმცველებს ცოტა მეტი ყურადღება შეტევებისთვისაც რომ დაეთმოთ. ინგლისში შემთხვევით შეაგდეს გოლი. ალბათ გახსოვთ, პირსის უხეშმა შეცდომამ ძოლა ახეირა. პოლონეთში მსგავსი არაფერი მომხდარა, ამიტომაც ვერ გაიტანეს. ახლაც კონტრშეტევებზე ააგეს თამაში და, ჩემი ვარაუდით, ჩვენთანაც იგივეს გააკეთებენ.

უკვე ამათი ორი მატჩი ვნახე. შევისწავლე, ბაჯო, მალდინი, ძოლა და სხვები რას წარმოადგენენ, იმის არ მეპარება, ამ ორ თამაშში ყველა იტალიელმა ფეხბურთელმა თავისი პოტენცია ბოლომდე გამოავლინა.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, იტალიამ სუსტად ითამაშა...**

— ყოველ შემთხვევაში, ინგლისში თამაშთან შედარებით ასეც ჩანდა. აშკარა იყო, იტალიელები ფრეზეც ყაბულს იყვნენ. ეს ალბათ იმიტომაც, რომ მოსამზადებლად დრო არ ჰქონდათ — მოლდოვასთან შეხვედრის შემდეგ 4 დღეში პოლონეთთან ითამაშეს. დალლილობამ კი თავისი კვალი დააჩნია „სკუადრა აძურას". სხვათა შორის, ჩეზარე მალდინიმაც იგივე თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე. მე თუ მკითხავთ, ამ მატჩის შედეგი მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ბევრჯერ თქმულა და ახლაც გავიმეორებ: დღეს ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა. საოცარია, მაგალითად, გერმანელებმა გაჭირვებით რომ მოუგეს ალბანელებს, იმავე თურქების გამარჯვება ჰოლანდიელებთან, რუსებმაც კვიპროსთან ფრედ ითამაშეს. ამით იმისი თქმა მინდა, რომ წინასწარ ამა თუ იმ შედეგის ან თუნდაც მეტოქის თამაშის გამოცნობა წარმოუდგენელია.

**— სომხებთან თამაშის შემდეგ რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ ჩვენი რომელიმე მეტოქის დამარცხება?**

— ღმერთმა ქნას, ჩვენებმა მომავალშიც ისევე ითამაშონ, როგორც 30 მარტს. მაშინ იტალიასაც და პოლონეთსაც ღირსეულად გავუმკლავდებით. შეიძლება ბევრმა თქვას, სომხებთან გამარჯვება რა გახადეთ ამისთანაო. მე კი ვიტყვი, რომ მეზობლებს საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყავთ და ჩვენი ფეხბურთელების დამსახურებაა, ასეთი ანგარიშით რომ მოუგეს. სომხებს ეს თამაში არ წაუგიათ — ჩვენ მოვიგეთ, ჩვენი ჰაკიანური თამაშით. ყველა ფეხბურთელმა კარგად ითამაშა. ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ნაკრებს ახალი ხელმძღვანელები ჰყავს და ყველა ფეხბურთელს თავის გამოჩენა უნდოდა. თითოეულს თავისი ხიბლიერის დამტკიცება სურდა და ამიტომაც გავიმარჯვეთ ასე შთამბეჭდავად. შესაძლო იყო, 1:0 ან 2:0 მოგვეგო და ამით საეჭვო გამხდარიყო ჩვენი პოტენცია. ახლა კი ბევრი დარწმუნდებოდა, რა თამაში შეგვძლებია. თუმცა, დამშვიდების უფლება არ გვაქვს, წინ ინგლისთან უმძიმესი თამაშია. ყველამ უნდა დაივიწყოს სომხებთან გამარჯვება და კვლავაც ისევე თუ მოინდომებენ, დარწმუნებული ვარ, ჩვენსას მივაღწევთ. ვიმეორებ, ყველამ ყველაფერი წარსულს უნდა ჩააბაროს, ლამაზი კომბინაციებისა და საგოლე მომენტების რეალიზაციის გარდა.

**— ესე იგი სომხებთან თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს. თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი ანგარიშით გავიმარჯვეთ.

**— ისევ პოლონეთ-იტალიის შეხვედრას დავუბრუნდეთ. როგორი შთაბეჭდილება დატოვეს პოლონელებმა?**

— კარგი გუნდია. განსაკუთრებით ნახევარდაცვის ხაზი გამოირჩევა: მთელი მატჩის განმავლობაში მოედნის ცენტრს, ფაქტობრივად, ისინი აკონტროლებდნენ, ეს კი დიდ გამძლეობას მოითხოვს და მათაც ეტყობათ, რომ ფიზიკურად ნორმალურად არიან მომზადებული. თუმცა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამათ შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენეს და მეტი აღარ შეუძლიათ. პოლონელთა მთავარი მწვრთნელიც უზომოდ გახარებული იყო ასეთი შედეგით.

**— ფეხბურთელებიდან ვის გამოყოფდით?**

— პირველ ყოვლისა, დინო ბაჯოსა და ძოლას. მართლაც უნივერსალური მოთამაშეები არიან. შემთხვევით კი არ იყო, ძოლას მთელი მატჩის მანძილზე პერსონალური მეურვე რომ დასდევდა. პოლონელთაგან იუსკოვიაკს და ჩიტკოს გამოვარჩევდი. გარდა ამისა, ორივე გუნდის მცველებმა მშვენივრად ითამაშეს.

**კობა ინასარიძე**

## ფედერაცია ადანაშაულებს...

დასაწყისი პირველ გვერდზე

— სტადიონზე შესასვლელები ოთხის ნახევრიდან ღია გახლდათ, მაგრამ ამ პერიოდიდან უბილეთოთა შემოსვლამ მასობრივი ხასიათი მიიღო. პირდაპირ წარმოუდგენელია წესრიგის დამცველთა ასეთი დამოკიდებულება. მოდის კაცი და იძახის, მე ორგანოს თანამშრომელი ვარო. თან წითელ წიგნაკს დაგვანახებს და შემოსვლას ლამობს. ზოგიერთი მოქალაქეთა კავშირის მოწმობით მოვიდა და გვეუბნებოდა, ჩვენმა უფროსმა კრება სტადიონზე დაგვინიშნაო. თან განა მარტოები მოდიან: თითო წიგნაკიანს ან საშვიანს მინიმუმ 2 ან 3 კაცი მოჰყვება, ამბობენ, ესენი უნდა შეუშვათ, ჩვენიანები არიანო. წარმოიდგინეთ, იმ კარიდან, საიდანაც მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტი შემოდის, სამთავრობო დაცვამ 5 ათასამდე კაცი შემოუშვა. როცა ვკითხეთ, ამას რატომ აკეთებთო, გვიპასუხეს, ხალხი შეშვებას გვთხოვს და უარი როგორ ვუთხრათო. საბოლოოდ, ყველაფერი უკონტროლო გახდა — ომონი პოლიციას ყურს არ უგდებს და პირიქით, შედეგად კი სტადიონზე უამრავი უბილეთო ხვდება. მოიყვანა გელა ლანჩავამ კურსანტები და სამასივე ტრიბუნაზე მოკალათდა. არ სჯობდა, კონტროლში მოგვხმარებოდნენ? თავიდან ასე იყო დაგეგმილი — ჯერ პოლიციას უნდა მოეწყო კორდონი და ხალხის ტალღა კონტროლიორებამდე არ მიეშვა. ამათ მერე ომონი უნდა მდგარიყო. პოლიციამ რატომღაც სტადიონზე მესერს შიგნით ყოფნა ირჩია. ინგლისთან მატჩზეც უამრავი უბილეთო შემოვიდა, ამიტომ ჩვენ სომხეთთან თამაშის დღეს კონტროლიორებად ჩვენი მსაჯები გავამწესეთ. არ ეშველა საქმეს, ის კი არა, მსაჯები შეურაცხყვეს კიდეც. მოკლედ, რაც უნდა აკეთო, არის ჩვენში 20-25 ათასი კაცი, რომელიც მუდამ სტადიონზე უბილეთოდ მოხვედრას ცდილობს...

— ხომ შეიძლებოდა სტადიონზე წესრიგი მხოლოდ ერთი გვარობის ძალოვან სტრუქტურას დაემყარებინა, მაგალითად, ომონს?

— ესეც ვცადეთ, მაგრამ ვერ გამოვიდა. ომონის ხელმძღვანელობამ გვითხრა, ჩვენი ძალები ეროვნული სტადიონის კონტროლისთვის არასაკმარისი იქნებაო. აი, სპორტის სასახლე რომ იყოს, სხვა ამბავიაო, გვითხრეს, იქ ყველაფერს ჩვენს თავზე ავიღებდითო...

მოკლედ, პრესკონფერენცია დამთავრდა, მერეც ბევრი ვისაუბრეთ და შევამჩნიეთ, რომ ამ ბოლო ხანს ფედერაცია ჟურნალისტებს სულ სხვანაირად, საქმიანად გვეყურებს. ოღონდ ქართულმა ფეხბურთმა იხეიროს და ჩვენ მუდამ ყოველმხრივ მზად ვართ სათანამშრომლოდ, მაგრამ აქედანვე დავძენთ, რომ არანაირ გადახვევაზე თვალს არ დავხუჭავთ. იმ დღესაც იყო ისეთი საკითხები, რომლებიც გაურკვეველი და ბუნდოვანი გვეჩვენა. კერძოდ: რით ვერ მოხერხდა შეთანხმება ძალოვან სტრუქტურებთან? ჩემი აზრით, ამდენი წესრიგის დამცველი სულაც არ არის საჭირო. დავიჯერო და, საქართველოში ორასამდე წესიერი კაცი ვერ მოიძებნება, ისეთი, რომელიც უბილეთოს სტადიონზე არ შეუშვებს? ან იმ ბილეთიანებს რას ერჩოდნენ, დახურულ კარს მიღმა ბილეთის ფრიალით რომ ითხოვდნენ შეშვებას. კონტროლიორებად მსაჯები დავაყენეთო. მსაჯებს თავიანთი საქმეც ჰყოფნით, რომელ ქვეყანაში გინახავთ მსაჯი-კონტროლიორი? ეს რომ ფიფამ და უეფამ შეიტყონ, ნამდვილად არ მოგვიწონებენ. მოკლედ, სტადიონზე ხალხის შესვლის საქმე საფუძვლიანად არის მოსაფიქრებელ-დასაგეგმავი, თორემ ასე მოუწესრიგებლად როდემდე უნდა გაგრძელდეს. კი ბატონო, ნაკრების თამაშები ბათუმშიც ჩავატაროთ, ფოთშიც და სხვაგანაც, მაგრამ მუდამ ასე ხომ არ იქნება. ბათუმში ხომ კეთდება ყოველივე ორგანიზებულად. აქაც მოვინდომოთ და ყველაფერი რიგზე იქნება. სულ ვწუწუნებთ, ფედერაციას დიდი ხარჯები აქვსო. ხარჯი ყველას აქვს, მაგრამ იქნებ უფრო სარფიანი კონტრაქტები გაგვეფორმებინა იგივე „ტელესპორტთან". დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, მოლდოვა „ტელესპორტისგან" ეროვნული გუნდის თამაშის ტრანსლაციისთვის ჩვენზე გაცილებით მეტს იღებსო. ამასაც ამბობენ და სხვასაც. მერე ფედერაცია მოგვდგება და, მუშაობას არ გვაცლითო. კი ბატონო, ვიმუშაოთ, ვითანამშრომლოთ, კარგი საქმე თუ წამოგიწყიათ, ჩვენც მუდამ მხარში გედექით, ცუდისა კი, რა მოგახსენოთ. რაც შეეხება ეროვნული გუნდის იტალიასთან თამაშს, ვფიქრობთ, ეს მატჩი უეჭველად თბილისში უნდა შედგეს. თითქმის ყველაფერი შეთანხმებულია უეფასთან, იტალიელებთანაც და თუ მონდომება იქნება, მოესწრება კიდეც. ნუთუ ყველაფერს მაინცდამაინც ქვეყნის პრეზიდენტის საგანგებო ბრძანებულება სჭირდება...

**გამუკა ძგანტალიანი**

## კორდალიძეს ბუცები ლურსმანზე ჩამოუკიდეს...

ზუგდიდში „დინამოსთან" „ოდიშმა" უკორდალიძეოდ ითამაშა. ფეხბურთს შეეშვაო, გვითხრეს. ამასწინათ ოთარი ასკ-ს დარბაზში მინი-ფეხბურთის მოთამაშე ვნახე...

— მოვრჩი თამაშს. „სიონთან" წაგების მერე მურთაზ ხურცილავასთან მივედი და კაცურად ვთხოვე — ვგრძნობ, ველარ ვთამაშობ, ველარც თქვენ გადგებით და გამიშვით-მეთქი. ბატონმა მურთაზმაც გამიგო. ახლა, მინიში ჩემს ჭიას ვახარებ, შაბათ-კვირაობით ისევ მუშტაიდში ვთამაშობ ვეტერანებთან ერთად, მოკლედ, ჩემი ფეხბურთი მორჩა.

გუშინ, სახლში რომ დავბრუნდი, ჩემი ბუცები... ლურსმანზე ჩამოკიდებული დამხვდა. ჩემს მეუღლეს თურმე საგანგებოდ ჩაუჭედებია ლურსმანი კედელში და ჩემს არყოფნაში ბუცები ჩამოუკიდია, ამხელა კაცი ხარ, რაღა დროს შენი ფეხბურთიაო...

**— ფეხბურთიდან წასვლა მტკიცედ კი გადაგიწყვეტია, მაგრამ, ჩემი აზრით, საქართველოს ჩემპიონატში კიდევ ბევრს აჯობებდი...**

— ძალიან კი მწყდება გული, მაგრამ აღარც ინტერესი მაქვს, ველარც ჯანზე ვარ. თანაც, სანამ ხალხი გინებას არ დამიწყებს, ჩემით არ უნდა მივხვდე, რომ წასასვლელი ვარ...

**— ოცდათვრამეტი წლისა ხარ და ფეხის ადგმიდან ბურთაობის მეტი არაფერი გიკეთებია. ახლა რას აპირებ?**

— ძალიან მინდა, მწვრთნელობა დავიწყო. ტალინის „ფლორაშიც" მიმუშავია მწვრთნელად, გიგლა იმნაძესთანაც „გურიაში". ახლა მერაბ ჟორდანიას ვთხოვე, „ნორჩ დინამოელში" რომელიმე ჯგუფი გამომინახოს. ასე, 10-12 წლის ბავშვებთან მინდა ვიმუშავო.

**— შენს ლევანს ალბათ აწი უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევ...**

— რა თქმა უნდა. ახლა „დინამო 2"-შია და ყველა თამაშში გოლი გააქვს. მარჯვენა ხავბეკად დაუყენებიათ, არადა, სულ თავდასხმაში იყო და თავიდან გაუჭირდა, მაგრამ თუ ფიზიკურად არ მომაგრდა, ფეხბურთს როგორ ითამაშებს. ისე კი, ძალიან მინდა, რომ ითამაშოს...

**გამუკა ძგარაცხელია**

# იუვე მთლად გადაირია

## იტალია

XXVI ტური

### ფიორენტინა 0:0 ინტერი

40 000 მაყურებელი

ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, ფირიკანო, სერენა, ამორუზო, კანჩელსკისი, შვარცი, რუი კოშტა (კოისი 82), ბატისტუტა, რობიატი (პუშედუ 72), ოლივეირა

ინტერი: პალიუკა, ანგლომა, პაგანინი, ფრეზი, ბერგომი, ინსი, სფორცა (ბერტი 74), ძანეტი, ჯორკაეფი (ვინტერი 74), სამორანო, განცი

გაფრთხილება: ამორუზო, ფრეზი, ინსი

გაძევება: სერენა (60)

### პერუჯა 1:1 ნაპოლი

25 000 მაყურებელი

პერუჯა: ბუჩი, გაუტიერი, კასტელინი (კონტინი 46), მიხალკოვიჩი, მატერაცი, დი კიარა, რუდი, ჯუნტი (მანიკონე 67), კრეეკი, ნეგრი, პიცი (რაპაიჩი 46)

ნაპოლი: ტალიალატელა, ბალდინი, კოლონეზე, აიალა, მილანეზე, ესპოზიტო, პეკია, ბოლოსიანი (ალტომარე 67), კრუზი, კაზა (ბორდინი 80), ალიეტი (კრასონი 94)

გოლი: ალიეტი (24), რაპაიჩი (61)

გაფრთხილება: კასტელინი, რაპაიჩი, ესპოზიტო

### უდინეზე 2:0 ატალანტა

18 000 მაყურებელი

უდინეზე: ტურჩი, ჟენო, პიერინი, კალორი, სერჯო (ორლანდო 92), ჰელვეგი, როსიტო, ჯანიკედა, ლოკატელი (ამოროზო 71), ბირჰოფი, პოჯი (კაპიოლი 86)

ატალანტა: პინატო, მირკოვიჩი, რუსტიკო, კარერა, სოტილი (კარბონე 64), ს. როსინი, ფოლიო, სგრო, გალო, ინძაგი, ლენტინი (ფორტუნატო 76)

გოლი: ბირჰოფი (83), ამოროზო (84)

### ვიჩენცა 0:0 ვერონა

14 576 მაყურებელი

ვიჩენცა: მონდინი, სარტორი, ბელოტი, ვივიანი, დიგნაციო, მ. როსი (მურჯიტა 59), ჯენტილინი, მაინი, ბეგეტო (ამბროზეტი 84), ოტერო, კორნაჩინი (ამერინი 71)

ვერონა: გუარდალბენი, სივილია, ბარონი, ფატორი, ვანოლი (ბრაიკოვიჩი 76), ორლანდინი, ამეტრანო, კოლუჩი, ბაჩი, მანეტი (ჯუნტა 84), დე ვიტისი

გაფრთხილება: ბელოტი, ამეტრანო, ფატორი, სივილია

### პარმა 3:0 სამპდორია

26 000 მაყურებელი

პარმა: ბუფონი, მუსი, ტურაჩი, კანავარო, ბენარივო, კრიპა, დ. ბაჯო (ბრავო 85), სენსინი, სტრადა, მელი (პედროსი 61), კრესპო

სამპდორია: ფერონი, ბალერი, მანინი (დინვი 68), კარემბუ, პეზარეზი, კარპარელი (იაკოპინო 67), ვერონი (სალსანო 46), ფრანჩესკეტი, ლეილი, მონტელა, მანჩინი

გოლი: კრესპო (34, 84), სენსინი (69)

გაფრთხილება: კანავარო, კარემბუ, დინგი, მანინი, ფრანჩესკეტი, ბალერი

### ბოლონია 3:2 რეჯანა

23 000 მაყურებელი

ბოლონია: ანტონიოლი, ტაროცი, ტორიზი, მანგონე, პარამატი, ნერვო (პავონე 76), მაროკი, ბრამბილა (სკაპოლო 50), ფონტოლანი (სკენარდი 46), კოლივანოვი, ანდერსონი

რეჯანა: ბალოტა, პაცი, გალი, ბაიერსდორფერი (გრიუნი 11), გროსი, პარენტე, მაცოლა, ლონგი, სორდო (ტონეტო 63), ვალენსია, სიმუტენკოვი (მინეტი 67)

გოლი: ვალენსია (22), კოლივანოვი (44 პ, 60), ანდერსონი (53), პარენტე (92 პ)

გაფრთხილება: პარამატი, ანდერსონი, ტაროცი, მაროკი, გროსი, გალი

### კალიარი 2:1 რომა

22 000 მაყურებელი

კალიარი: სტერჩელე, პანკარო, სანა, მინოტი, ვილა, ბეტარინი, ბერეტა, ონილი, მუცი (სკუკუჯა 74), სილვა, ტოვალიერი

რომა: ჩერვონე, თეთრაძე, პეტრუცი (კონტი 46), ალდაირი, კანდელა, მორიერო, დი ბიაჯო, სტატუტო, კარბონი, ფონსეკა, დელვეკიო

გოლი: ტოვალიერი (6), კარბონი (24), სილვა (46)

გაფრთხილება: მუცი, ონილი, დი ბიაჯო, კარბონი, სტატუტო, კონტი, ალდაირი



მილანი — იუვენტუსი: ბობანის და ბოკშიჩის ხორვატული დუელი

### ლაციო 2:0 პიაჩენცა

40 000 მაყურებელი

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, გრანდონი, შამოტი, გოტარდი, რამბაუდი, ოკონი (ბარონიო 84), ვენტურინი, მარკოლინი, პროტი, სინიორი (პიოვანელი 79)

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, კონტე, ლუჩი, ტრამეძანი (ვალტოლინა 63), დი ფრანჩესკო (პინი 80), პარი, შიენცა, მორეტი (ვალოტი 80), ტენტონი, პიოვანი

გოლი: სინიორი (30 პ), რამბაუდი (72)

გაფრთხილება: შამოტი, ტრამეძანი

### მილანი 1:6 იუვენტუსი

81 170 მაყურებელი

მილანი: როსი, რაიციგერი, ვერპოვოდი, ბარეზი, მალდინი, სავიჩევიჩი, დესაი (ტასოტი 81), ბობანი, ბლომკვისტი (რ. ბაჯო 60), დუგარი, სიმონე

იუვენტუსი: პერუცი, პორინი (პესოტო 74), ფერარა, ჯულიანო, დიმაში, დი ლივიო, ტაკინარდი, ზიდანი (ლომბარდო 75), იუგოვიჩი, ვიერი, ბოკშიჩი (ამორუზო 39)

გოლი: იუგოვიჩი (19, 50), ზიდანი (32 პ), ვიერი (71, 81), ამორუზო (73), სიმონე (76)

გაფრთხილება: ბობანი, დი ლივიო

ის, რაც კვირის „სან სიროზე“ მოხდა, ზებუნებრივ მოვლენებს განეკუთვნება — ექვსი გოლი „მილანმა“ ბოლოს 1949-50 წლების სეზონში გაუშვა „ინტერთან“ შეხვედრაში, მაგრამ მაშინ ხუთი თავადაც გაიტანა, ახლა კი...

რაგინდ უცნაურად ჟღერდეს, პირველი შეტევები მასპინძლებმა წამოიწყეს. დუგარიმ და სავიჩევიჩმა კინაღამ გაიტანეს კიდეც. იმ მონაკვეთში თავი არ შეირცხვინა ტურინელთა მეკარემ ანჯელო პერუციმ, მერე კი...

„მილანის“ ორი მცველი ჯამში 75 წლისა გახდა. 37 წლის ფრანკო ბარეზი და იმ დღეს 38 მოყრილი პიეტრო ვერხოვოდი ამაოდ ცდილობდნენ 23 წლის კრისტიან ვიერისა და მის თანამზრახველთა დაჭერას. ვიერიმ ბარეზის შემოურბინა და დაარტყა, სებასტიანო როსიმ მოიგერია, მაგრამ პენალტის ნიშნულთან ვლადიმირ იუგოვიჩი იდგა და ელოდა — 1:0. 80 ათასი სან-სიროელი ქომაგი დადუმდა, როდესაც მათმა სიამაყემ პაოლო მალდინიმ ალენ ბოკშიჩი საჯარიმოში დასცა და ულმობელმა არბიტრმა პენალტი დანიშნა. ზიდანის დაბალმა დარტყმამ როსის ჩაუქროლა და ბადეს მიაგნო. ასე დასრულდა პირველი ტაიმი, მეორეში კი უარესი ცოდვის ტრიალი დაიწყო.

იუგოვიჩმა შესვენებიდან ხუთ წუთში გაასამითნოლა, მისი გოლიდან ოც წუთში ვიერიმ მეოთხე შეაგდო, ამორუზომ ამდენი ველარ მოითმინა — სამ წუთში მეხუთე გაიტანა, ვიერიმ კი 81-ზე რომ დაინახა, გათავხედებულმა მარკო სიმონემ სხვაობა ჩამოაოთხაო, ბარეზისა და ვერხოვოდის მხცოვან დუეტს გაუსხლტა და მეექვსე და სამართალიო შემოსძახა.

საწყალი საკ. „იუვენტუსი“ კი ოთხშაბათს „აიაქსს“ კარგ ხასიათზე მიუხდება, თუმცა იქ, ცხადია, დიდი ბრძოლა მოელის.

„ფიორენტინა“ „ინტერთან“ შეხვედრაში ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში ათი კაცით იბრძოდა — მიკელე სერენა ივან სამორანოსთან უხეშობისთვის გააძევეს მოედნიდან. სამორანოს კი თავის მხრივ კაი რვა გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ მომენტები გაფლანგა. ფლორენციის კერპმა გაბრიელ ბატისტუტამ, წითელამოხდილი მწვანე მინდორს რომ დაუბრუნდა, 64-ე წუთზე ძელს გაარტყა ბურთი, სამ წუთში კი მისმა შვედმა თანაგუნდელმა შტეფან შვარცმა ჩაიდინა იგივე. „ინტერის“ ინგლისელი პოლ ინსი „ფიორენტინას“ რუსი ანდრეი კანჩელსკისის წინააღმდეგ თამაშობდა და ამ საქმით გართულმა ყვითელი ბარათი მიიღო. ახლა ინსი მომდევნო ტურში მილანურ დერბის, „ინტერ“ — „მილანს“ გამოსტოვებს.

— „სამპდორიას“ მოვუგეთ და „იუვენტუსს“ სამი ქულით ჩამოვრჩებით. შესაძლოა, თავი პირველობისთვის მებრძოლებადაც წარმოგვედგინა, მაგრამ ეს გამარჯვება მეორე ადგილის მოსაპოვებლად უფრო მნიშვნელოვანია — ეს სიტყვები „პარმას“ თავკაცს კარლო ანჩელოტის ეკუთვნის. პარმის „ტარდინის“ სტადიონზე გუნდმა, რომელსაც სკუდეტო არასდროს მოუპოვებია, კრესპოს ორი და სენსინის ერთი გოლით აჯობა გენუელ მეტოქეს და პირველ წრეში ნაწვნევი 0:1-ისთვის შური იძია. სხვათა შორის, ამ სტადიონზე „სამპდორიამ“ ბოლოს 1979 წელს მოიგო. პარმელებს მარიო სტანიჩი და ენრიკო კიეზა აკლდნენ.

„ნაპოლის“ მწვრთნელი ჯიჯი სიმონი კი „პერუჯას“ ხორვატ ფორვარდ მილან რაპაიჩზე აღშფოთდა, ჩვენს კარში გოლი ხელით შეაგდოო. „პერუჯა“ 0:1-ს აგებდა და რაპაიჩის გოლმა სწორედაც სულზე მიუსწრო. სიმონიმ თქვა:

— საოცარი რამ მოხდა: ოთხმა მსაჯმა ვერ შეამჩნია ის, რაც შენიშნა დანარჩენმა სტადიონმა, ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ მთავარმა არბიტრმა თავად ფეხბურთელს ჰკითხა, გოლი როგორ შეაგდეო, რაზეც რაპაიჩმა, კისრითო, უპასუხა. განა პროფესიონალი ფეხბურთელი მსაჯს ასეთ შემთხვევაში სიმართლეს ეტყვის?

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 26 | 14 | 10 | 2 | 40:16 | 52 |
| პარმა | 26 | 13 | 7 | 6 | 30:20 | 46 |
| ინტერი | 26 | 10 | 12 | 4 | 35:25 | 42 |
| ბოლონია | 26 | 12 | 6 | 8 | 42:33 | 42 |
| სამპდორია | 26 | 11 | 7 | 8 | 48:39 | 40 |
| ლაციო | 26 | 11 | 7 | 8 | 32:26 | 40 |
| რომა | 26 | 9 | 9 | 8 | 39:36 | 36 |
| მილანი | 26 | 10 | 6 | 10 | 35:34 | 36 |
| ფიორენტინა | 26 | 8 | 11 | 7 | 33:28 | 35 |
| ვიჩენცა | 26 | 9 | 8 | 9 | 35:32 | 35 |
| ატალანტა | 26 | 9 | 8 | 9 | 35:34 | 35 |
| უდინეზე | 26 | 9 | 8 | 9 | 34:34 | 35 |
| ნაპოლი | 26 | 7 | 12 | 7 | 29:33 | 33 |
| პიაჩენცა | 26 | 5 | 12 | 9 | 20:32 | 27 |
| პერუჯა | 26 | 7 | 6 | 13 | 33:47 | 27 |
| კალიარი | 26 | 6 | 8 | 12 | 31:43 | 26 |
| ვერონა | 26 | 4 | 7 | 15 | 31:52 | 19 |
| რეჯანა | 26 | 2 | 12 | 12 | 24:42 | 18 |

## სერია B

28-ე ტური: ბარი — ლეჩე 2:1, დი სანგრო — ჩეზენა 1:0, კიევო — პესკარა 1:1, კოზენცა — სალერნიტანა 3:1, კრემონეზე — ბრეშია 0:1, ჯენოა — ვენეცია 3:0, ლუკეზე — ემპოლი 2:2, პალერმო — ფოჯა 0:1, რავენა — რეჯინა 0:0, ტორინო — პადოვა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშია | 28 | 15 | 8 | 5 | 38:22 | 53 |
| ლეჩე | 28 | 13 | 9 | 6 | 41:32 | 48 |
| ემპოლი | 28 | 12 | 9 | 7 | 35:31 | 45 |
| პესკარა | 28 | 11 | 11 | 6 | 37:25 | 44 |
| რავენა | 28 | 12 | 9 | 7 | 34:25 | 42 |
| ტორინო | 28 | 11 | 8 | 9 | 36:31 | 41 |
| კიევო | 28 | 9 | 14 | 5 | 31:27 | 41 |
| ჯენოა | 28 | 9 | 13 | 6 | 38:21 | 40 |
| ფოჯა | 28 | 10 | 9 | 9 | 30:30 | 39 |
| ბარი | 28 | 8 | 14 | 6 | 36:29 | 38 |
| პადოვა | 28 | 7 | 13 | 8 | 31:34 | 34 |
| რეჯინა | 28 | 8 | 10 | 10 | 29:33 | 34 |
| ვენეცია | 28 | 7 | 11 | 10 | 32:34 | 32 |
| სალერნიტანა | 28 | 7 | 10 | 11 | 18:30 | 31 |
| დი სანგრო | 28 | 8 | 6 | 14 | 17:32 | 30 |
| ჩეზენა | 28 | 6 | 11 | 11 | 25:31 | 29 |
| კოზენცა | 28 | 7 | 8 | 13 | 31:39 | 29 |
| ლუკეზე | 28 | 6 | 11 | 11 | 21:31 | 29 |
| პალერმო | 28 | 5 | 13 | 10 | 19:38 | 28 |
| კრემონეზე | 28 | 6 | 9 | 13 | 19:33 | 27 |

## საფრანგეთი

XXXII ტური

### [illegible] 1:1 [illegible]

0:1 ნეე (20), 1:1 [illegible] (42)

### ლენსი 1:1 ბასტია

0:1 შილიაკი (45), 1:1 ვერელი (71)

### ნიცა 1:0 კანი

1:0 შაუში (20), 1:1 ფიუტანი (77 საკ. კარში)

### ლე ავრი 0:0 მეცი

### ლიონი 2:0 ოსერი

1:0 ლავილი (66), 2:0 ჟიული (90)

### ნანტი 1:1 მარსელი

1:0 ნდორამი (22), 1:1 ლიბრა (90)

### ნანსი 2:0 სტრასბური

1:0 კორეა (20), 2:0 კორეა (74)

### პარი სენ ჟერმენი 1:1 რენი

0:1 გივარში (37 პ), 1:1 პოჟე (72)

### მონპელიე 2:0 ბორდო

1:0 ბაკაიოკო (5), 2:0 ბაკაიოკო (13)

### მონაკო 2:0 ლილი

1:0 იკპება (61), 2:0 ლევვინსკი (69)

„მონაკომ“ ფრანგული მწვერვალისკენ მორიგი სამქულიანი ნაბიჯი გადადგა და ეს რვაწუთიან მონაკვეთში შეძლო. ალბათ ჟან ტიგანას ფეხბურთელების აზრი და გონება „ლილთან“ შეხვედრის დროსაც უეფას თასის ნახევარფინალის დღევანდელ მატჩს უტრიალებდა. „მიონხენგლადბახის“, „ჰამბურგის“ და „ნიუკასლის“ მძლეველი „მონაკო“ ცხადია ევროპულ ჯილდოს შინაურზე არანაკლებ უმიზნებს და დღევანდელი ბრძოლისთვის კარგა ხანია ემზადება. იქნებ სწორედ „ინტერზე“ ფიქრობდა ბრაზილიელი სონი ანდერსონი, „ლილის“ კარს პირველ ტაიმში პენალტი რომ ააცილა, მაგრამ შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა. ჯერ ერთი, მოედანზე ტირეი ანრი გამოჩნდა, რომელმაც ლილიან მარტინი შეცვალა, მეორეც — ლიდერებმა გონი მოიკრიბეს და სიზუსტეს უმატეს. კართა შეცვლიდან მე-16 წუთზე ბენარიბას კუთხურიდან ნიგერიელმა ვიქტორ იკპებამ თაური გაიტანა, რვაჯერ სამოცი წამის შემდეგ კი სილვან ლეგვინსკიმ 25 მეტრიდან დააქუხა შედეგიანად. მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე სტუმარი კარეზი გააძევეს და ბუნებრივია, ისედაც მოთავებულ საქმეს საბოლოო წერტილი დაესვა.

„ნანტისა“ და „მარსელის“ შეხვედრაშიც აღმართა არბიტრმა წითელი ბარათი. აქ ქართველთა კარგი ნაცნობი, ბულგარელი იორდან ლეჩკოვი გაუყენეს გასახდელის გზას. 1:1 დასრულებული ეს მატჩი ოცდამეხუთე იყო, ნანტელებმა რომ არ წააგეს, თუმცა საკუთარ რეკორდამდე, რომელიც 32 წაუგებელი თამაშის ტოლია, ჯერ შვიდი ბრძოლა აშორებთ. მოკლედ, ამ სეზონში ეს ამბავი არ მოესწრება.

ამბიციურმა „პარი სენ ჟერმენმა“ კი, ხუთშაბათს თასების თასზე „ლივერპულს“ რომ შეებმება, ჩემპიონობის იმედს მშვიდობა უთხრა:

— ჩემპიონობა აწი გვიანია, მაგრამ მწამს, რომ მეორე ადგილს ვერვინ წაგვართმევს. თუმცა საამისოდ შინ ფრეთა თამაშს თავი უნდა დავანებოთ — თქვა კლუბის პრეზიდენტმა ბერნან ბროშანმა. „სენ ჟერმენმა“ „პარკ დე პრენსზე“ „რენს“ ვერ მოუგო. მეტიც, გასათანაბრებლად გაიხადა საქმე.

— ბედნიერი ვარ, რომ გავიტანე, მაგრამ „ლივერპულთან“ მატჩის წინ შინ ფრედ თამაში ვერაფერი გამხნევებაა, თქვა გამთანაბრებელმა სირილ პოჟემ.

სათქმელია, რომ პარიზელებს დაშავებული მოთამაშეები აკლდათ, კარს კი, მიუხედავად ბოლო ხანს პლანის წევაში წაყენებული ბრალდებისა, იცავდა ბერნარ ლამა, რომელმაც სტეფან გივარშის პენალტს პირველ ტაიმში ვერაფერი მოუხერხა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 32 | 20 | 8 | 4 | 58:23 | 68 |
| პსჟ | 32 | 15 | 11 | 6 | 46:26 | 56 |
| ნანტი | 32 | 13 | 14 | 5 | 52:28 | 53 |
| ბასტია | 31 | 15 | 8 | 8 | 43:35 | 53 |
| სტრასბური | 32 | 17 | 2 | 13 | 44:41 | 53 |
| ბორდო | 32 | 13 | 12 | 7 | 48:34 | 51 |
| ოსერი | 32 | 13 | 10 | 9 | 38:27 | 49 |
| ლიონი | 32 | 13 | 10 | 9 | 43:44 | 49 |
| მეცი | 32 | 12 | 11 | 9 | 32:26 | 47 |
| გინგამი | 32 | 11 | 11 | 10 | 31:30 | 44 |
| მონპელიე | 32 | 10 | 13 | 9 | 34:30 | 43 |
| მარსელი | 32 | 10 | 11 | 11 | 36:34 | 41 |
| კანი | 32 | 8 | 12 | 12 | 19:30 | 36 |
| ლე ავრი | 32 | 8 | 11 | 13 | 27:35 | 35 |
| რენი | 32 | 9 | 8 | 15 | 33:45 | 35 |
| ლანსი | 32 | 9 | 8 | 15 | 34:48 | 35 |
| ლილი | 32 | 8 | 9 | 15 | 29:51 | 33 |
| კაენი | 31 | 6 | 11 | 14 | 26:39 | 29 |
| ნანსი | 32 | 7 | 8 | 17 | 27:43 | 29 |
| ნიცა | 32 | 4 | 8 | 20 | 25:56 | 20 |

## პოლონეთი

23-ე ტური. ზაგლებიე — გურნიკი 1:1, შლიონსკი — რუხი 1:1, რაკოვი — ლკს 2:1, ლეგია — სტომილი 2:1, ამიცა — ბელხატოვი 1:0, გკს — ჰუტნიკი 1:0, ვიძევი — პოლონია 4:0, სოკოლი — ოდრა 0:3, ვისლა — ლეხი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 23 | 16 | 3 | 4 | 41:19 | 51 |
| ვიძევი | 23 | 14 | 6 | 3 | 43:12 | 48 |
| გკს | 23 | 10 | 9 | 4 | 32:25 | 39 |
| ოდრა | 23 | 11 | 4 | 8 | 37:31 | 37 |
| ამიცა | 23 | 11 | 4 | 8 | 30:30 | 37 |
| სტომილი | 23 | 10 | 4 | 9 | 32:29 | 34 |
| პოლონია | 23 | 10 | 4 | 9 | 25:30 | 34 |
| ზაგლებიე | 23 | 8 | 8 | 7 | 28:27 | 32 |
| ლეხი | 23 | 8 | 7 | 8 | 28:27 | 31 |
| ლკს | 23 | 7 | 9 | 7 | 31:30 | 30 |
| რაკოვი | 23 | 7 | 8 | 8 | 21:25 | 29 |
| ვისლა | 23 | 7 | 7 | 9 | 19:23 | 28 |
| ბელხატოვი | 23 | 7 | 5 | 11 | 28:32 | 26 |
| ჰუტნიკი | 23 | 5 | 9 | 9 | 18:24 | 24 |
| გურნიკი | 23 | 6 | 5 | 12 | 21:33 | 23 |
| რუხი | 23 | 4 | 10 | 9 | 21:26 | 22 |
| სოკოლი | 23 | 5 | 6 | 12 | 18:35 | 21 |
| შლიონსკი | 23 | 4 | 6 | 13 | 19:34 | 18 |

## შვეიცარია

ფინალური ეტაპის მე-5 ტური: ბაზელი — სენტ გალენი 1:2, ლოზანა — გრასჰოპერი 3:2, სიონი — ქსამაქსი 3:1, ციურიხი — არაუ 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 5 | 4 | 0 | 1 | 7:4 | 31 |
| ქსამაქსი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 28 |
| ლოზანა | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 27 |
| გრასჰოპერი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:7 | 27 |
| არაუ | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 26 |
| სენტ გალენი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 21 |
| ბაზელი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:8 | 16 |
| ციურიხი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:6 | 16 |

## ბურთაობა ძველი ჰონკონგის ქელეხში

ივლისში ჰონკონგი საზეიმო ვითარებაში გადაეცემა ჩინეთს. ამ მოვლენის აღსანიშნავად ფიფამ გადაწყვიტა, მსოფლიოსა და აზიის ნაკრებები შეარკინოს ერთმანეთს. ეს შეხვედრა 3 ივლისსაა დანიშნული. ფიფამ უკვე გამოაქვეყნა მსოფლიო ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა: მარკ ბოზნიჩი (ავსტრალია), ანდრეას კეპკე, ლოთარ მათეუსი, მათიას ზამერი (გერმანია), კრისტიან კარემბუ, ჟან-პიერ პაპენი (საფრანგეთი), ზე ელიასი, ალდაირი, ლეონარდო, დუნგა, ედმუნდო (ბრაზილია), ალესანდრო კოსტაკურტა, ჩირო ფერარა, ალესანდრო დელ პიერო (იტალია), ალექსი ლალასი (აშშ), ტარიბო ვესტი, სანდი ოლისე (ნიგერია), ჟორჟ ვეა (ლიბერია), ალან შირერი (ინგლისი), მიგელ ალფონსო (ესპანეთი).

## შოტლანდია

32-ე ტური. აბერდინი — მოზერველი 0:0, ჰიბერნიანი — დანდი იუნაიტედი 2:0, კილმარნოკი — ჰარტსი 1:0, რეით როვერსი — სელტიკი 1:1, რეინჯერსი — დანფერმლაინი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 32 | 23 | 5 | 4 | 77:28 | 74 |
| სელტიკი | 32 | 20 | 5 | 7 | 69:31 | 65 |
| დანდი იუნ. | 32 | 16 | 8 | 8 | 44:28 | 56 |
| ჰარტსი | 32 | 13 | 8 | 11 | 42:40 | 47 |
| აბერდინი | 32 | 9 | 12 | 11 | 42:50 | 39 |
| დანფერმლაინი | 32 | 11 | 6 | 15 | 45:60 | 39 |
| კილმარნოკი | 32 | 11 | 3 | 18 | 38:56 | 36 |
| ჰიბერნიანი | 32 | 9 | 8 | 15 | 34:49 | 35 |
| მოზერველი | 32 | 7 | 9 | 16 | 34:52 | 30 |
| რეით როვერსი | 32 | 6 | 6 | 20 | 28:59 | 24 |

## თურქეთი

28-ე ტური: ანკარაგიუჯიუ — გენჩლერბირლიგი 1:0, ბეშიქთაში — გაზიანთეფი 5:1, ბურსა — დარდანელი 3:1, ვანსფორი — სარიერი 1:0, გალათასარაი — ალთაი 2:1, ზეითუნბურნუ — სამსუნი 1:3, ქოჯაელი — ისთანბული 1:1, ანთალია — დენიზლი 3:0, ტრაბზონსფორი — ფენერბაჰჩე 4:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 28 | 20 | 6 | 2 | 72:24 | 66 |
| ბეშიქთაში | 28 | 18 | 7 | 3 | 70:20 | 61 |
| ფენერბაჰჩე | 28 | 18 | 6 | 4 | 60:20 | 60 |
| ტრაბზონი | 28 | 18 | 4 | 6 | 57:30 | 58 |
| ბურსა | 28 | 14 | 6 | 8 | 40:28 | 48 |
| ისთანბული | 28 | 12 | 7 | 9 | 42:31 | 43 |
| გაზიანთეფი | 28 | 11 | 8 | 9 | 30:36 | 41 |
| ქოჯაელი | 28 | 10 | 10 | 8 | 29:25 | 40 |
| ანთალია | 28 | 11 | 6 | 11 | 33:38 | 39 |
| სამსუნი | 28 | 10 | 8 | 10 | 38:41 | 38 |
| გენჩლერბირ. | 28 | 10 | 5 | 13 | 29:35 | 35 |
| ანკარაგიუჯიუ | 28 | 8 | 7 | 13 | 29:40 | 31 |
| სარიერი | 28 | 8 | 6 | 14 | 36:44 | 30 |
| ალთაი | 28 | 7 | 9 | 12 | 26:50 | 30 |
| დარდანელი | 28 | 7 | 6 | 15 | 27:50 | 27 |
| ვანსფორი | 28 | 5 | 7 | 16 | 19:46 | 22 |
| დენიზლი | 28 | 5 | 3 | 20 | 31:62 | 18 |
| ზეითუნბურნუ | 28 | 2 | 5 | 21 | 23:71 | 11 |

„ტრაბზონმა“ ლამის შეუძლებელი შეძლო და ოთხბურთიანი უპირატესობა კინაღამ ქარს გაატანა. არადა, 33-ე წუთზე, როცა შოთამ ლამაზი თაურით აილო სტუმართა კარი, ანგარიში 4:0 გახდა. მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და ჯერ ბოლიჩმა, მერე კი ორჯერ კოსტადინოვმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. დარჩენილი ხუთი წუთი სტუმრებისთვის საკმარისი აღარ აღმოჩნდა. შოთას გარდა მოედანზე ჩვენებურთაგან ოლეგ ნემსაძე იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

XXXIII ტური

### ლივერპული 1:2 ქოვენთრი

**ლივერპული:** ჯეიმსი, მაკატირი, კვარმე, მატეო, ჰარკნესი, ბიორნებიე (ბერგერი 79), მაკმანამანი, ბარნსი, რედნეპი, კოლიმორი, ფაულერი

**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, შოუ, ბაროუზი, უილიამსი, რიჩარდსონი, ჯესი (მოლი 57), ველანი, დაბლინი, მაკალისტერი, ნდლოვუ, ჰაკერბი (სტრაჩანი 83)

**გოლი:** ფაულერი (52), ველანი (65), დაბლინი (90)

„ოლდ ტრეფორდზე" მანჩესტერელთა მარცხმა ლივერპულელებს პრემიერლიგის ლიდერობისკენ გაუხსნა გზა, მაგრამ წითლებმა სწორედ მაშინ წაიფორხილეს, როცა გაწბილებას სულ არ ელოდნენ. მასპინძლებს მეხუთე წუთზევე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ მაკმანამანს ოგრიზოვიჩმა აუღო, მალე კი სტივის პასით კოლიმორმა ვერ იხეირა. მეორე ნახევარში „ლივერპული" კუთხურებმა დაასამარა: მასპინძლებმა ათი უშედეგო კუთხური ჩააწოდეს, „ქოვენთრიმ" კი სამიდან ორი გოლად აქცია: სტუმართა პირველი კუთხურის შემდეგ ველანმა მაკატირი გააცურა და ფაულერის მიერ 13 წუთით ადრე გატანილი გოლი გაქვითა, მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში კი ქოვენთრელთა მეკუთხურის გარი მაკალისტერის ჩაწოდებულ ბურთს დიონ დაბლინმა ჯეიმსის კარში მიუჩინა ადგილი. დაბლინის გოლამდე ცოტა ხნით ადრე მოედანზე სტუმართა შოტლანდიელი მოთამაშე-მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი გამოჩნდა, ვინც მატჩის შემდეგ თქვა, ყველა კლუბი სეზონში ერთ დაუვიწყარ შეხვედრას ატარებს და დღევანდელი მატჩი ჩვენთვის ასეთი იყოო.

### ასტონ ვილა 3:1 ევერტონი

**ასტონ ვილა:** ოუქსი, ნელსონი, რაიტი, ეჰიოგუ, სტონტონი (მიუზი 56), საუთგეიტი, ტეილორი (ჩურჩიჩი 81), დრეიპერი, მილოშევიჩი, იორკი, ფერილი

**ევერტონი:** საუთჰოლი, ტომსენი, ჰარკინსონი, ანსუორსი (დანი 60), უოტსონი, ფილანი, სტიუარტი, ჰოტიგერი (ბრენჩი 54), ფერგიუსონი, ხპიდი, შორტი

**გოლი:** ანსუორსი (14), მილოშევიჩი (41), სტონტონი (50), იორკი (54)

„ევერტონს" ვერც ახალმა მწვრთნელმა დეივ უოტსონმა უშველა და მეთოთხმეტედ წააგო, მასპინძლებმა კი მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს. შეხვედრამდე უოტსონს შემადგენლობის დადგენისას პრობლემები შეექმნა — ძირითადს ტრავმების გამო ბარმბი და ბარეტი გამოაკლდნენ. ამ მხრივ არც მასპინძლებს ულხინდათ — ვარჯიშზე ძირითადი მეკარე, ავსტრალიელი ბოზნიჩი დაუშავდათ. საგრძნობი დანაკლისის მიუხედავად ანგარიში მაინც სტუმრებმა გახსნეს: ანსუორსმა ბირმინგემელი მცველების შეცდომა გოლად აქცია. მასპინძლებმა ბევრი იჯახირეს და შესვენებამდე გაქვითეს — მილოშევიჩისთვის აცილება უფრო ძნელი იყო, ვიდრე გატანა. მეორე ტაიმში ყველაფერი დალაგდა — ძლიერმა იმარჯვა. ისე, თამაშის ხარისხის მიხედვით ამას არც იმსახურებდა. ჯერ ჯარიმისას სტონტონმა გააძვრინა ცოცხალ კედელში ბურთი და მასპინძლები დააწინაურა, მერე კი ტრინიდადელმა დუაიტ იორკმა იმარჯვა და საუთჰოლის მიერ მოგერიებულ ბურთს ზუსტად წაჰკრა.

### ჩელსი 0:3 არსენალი

**ჩელსი:** გროდასი, პეტრესკუ, კლარკი, ვიალი, ბარლი, მინტო (ნიკოლსი 75), ჯონსენი (მეიერისი 46), ჰარკერი (გრენვილი 46), მორისი, ძოლა, ჰიუზი

**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი, კიოუნი, გარდე, ჰიუზი (მარლოუ 77), ვიეირა (სილი 85), ბოულდი, პლატი, რაიტი (ანელკა 85), ბერხკამპი

**გოლი:** რაიტი (22), პლატი (53), ბერხკამპი (80)

დედაქალაქურ დერბიში სტუმრებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს, მასპინძლებმა კი, გულიტის მატჩისშემდგომი სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ნამუსზე ხელი აიღეს და საზიზღარ თამაშზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გულშემატკივრების წინაშე საშვილიშვილოდ შეირცხვინეს თავი. „ჩელსის" განადგურების მიზეზთაგანი რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის არყოფნაც იყო. მასპინძლებს დისკვალიფიკაციის გამო მარკ ჰიუზი, რობერტო დი მატეო, დენის უაიზი და ფრენკ სინკლერი აკლდათ, ტრავმებმა კი ფრენკ ლებეფსა და ედი ნიუტონს არ მისცა თამაშის საშუალება. ამდენი ფეხბურთელის არყოფნა, ცხადია, ნებისმიერ გუნდს დაასუსტებდა. მეთოფეებმაც ისარგებლეს მეტოქის შეჭირვებით და პირველივე წუთებიდან დაჩაგრეს მასპინძლები. ტაიმის შუაში გროდასმა ველარ გაუძლო გამუდმებულ შეტევებს და რაიტს სეზონის ყველა შეჯიბრებაში გატანილ ბურთთა რაოდენობა 27-მდე გაეზრდევინა. ახლა რაიტი რვა გოლითღა ჩამორჩება „არსენალის" ყველა დროის უპირველეს ბომბარდირ კლიფ ბასტინს და თუ ჩემპიონატში მის შედეგიან თამაშს გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ არის, რეკორდი წელსვე გადაილოცოს. რაიტმა პასებიც ბლომად არიგა. სწორედ მისი გადაცემით შეაგდო დევიდ პლატმა, ვინაც 13 ნოემბრის შემდეგ პირველად გაიტანა. „ჩელსის" განადგურება ბერხკამპმა დაასრულა — დენისმა „ჩელსის" ინტერნაციონალურ დაცვას ჩაუქროლა და სკანდინაველ მეკარეს მესამედ გამოატანინა ბურთი კარიდან. ჰოლანდიელისთვის ეს გოლი ბოლო შვიდ შეხვედრაში მეხუთეა.

### იუნაიტედი 2:3 დერბი ქაუნთი

**იუნაიტედი:** შმაიხელი, გ.ნევილი (ირვინი 70), ფ.ნევილი, კინი, იონსენი, პალისტერი (სქოულზი 86), კანტონა, ბატი (სოლსკიაერი 46), კოული, ბექჰემი, გიგზი

**დერბი:** პოომი, ს.პაუელი, დ.პაუელი, ვან დერ ლაანი, სტარიჯი, უორდი, ტროლოპი, ლაურსენი, დეილი, ვენჩოპი (სიმპსონი 55), მაკგრათი

**გოლი:** უორდი (29), ვენჩოპი (35), კანტონა (47), სტარიჯი (75), სოლსკიაერი (76)

მარცხის მიუხედავად, ფერგიუსონის ბიჭებმა პრემიერლიგის ლიდერობა კი შეინარჩუნეს, მაგრამ ჩემპიონობა სათუო გაიხადეს. 13 დღეში მანჩესტერელებს „ლივერპული" უმასპინძლებს და სწორედ ეს შეხვედრა გადაწყვეტს ბევრს, მანამდე კი ორივენი აუტსაიდერებთან აგებენ. „იუნაიტედმა", რომ იტყვიან, ძალით წააგო. სტუმართა ორ გოლში მთავარი დამნაშავე მასპინძელთა ასაკოვანი მცველი გარი პალისტერია, ვინაც ვერას გახდა „დერბის" კოსტარიკელ დებიუტანტთან პაულო ვენჩოპთან და გაატანინა, მერე კი რატომღაც შმაიხელს ხელი შეუშალა და სტარიჯს მესამეც შეაგდებინა. მანამდე, უორდმა პირველი გოლის გატანა მოასწრო. „დერბის" მეორე და მესამე გოლებს შუა კანტონამ დროებით მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მერე, შეცვლაზე შესულმა სოლსკიაერმაც გაიტანა, მაგრამ მანაც ოდენ შეამცირა სხვაობა. დარჩენილ დროში მასპინძლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ პრემიერლიგის დებიუტანტი ესტონელი მეკარის მარტინ პოომის კარს ვერაფერი დააკლეს.

### ნიუკასლი 1:1 სანდერლენდი

**ნიუკასლი:** ჰისლოპი, ბარტონი, უოტსონი, პიკოკი, ელიოტი, გილესპი, ბეტი, ლი (კლარკი 29), ჟინოლა, შირერი, ფერდინანდი (ასპრილია 46)

**სანდერლენდი:** პერესი, ჰოლი, ჰოუი, ორდი, კუბიჩკი, ბრაისველი, ბოლი, გრეი (ბრიჯისი 66), ჯონსტონი (კელი 61), სტიუარტი (ქუინი 82), უადლი

**გოლი:** გრეი (32), შირერი (77)

ოთხკვირიანი შესვენების შემდეგ მასპინძლებს, როგორც იქნა, კვლავ დაუბრუნდა პრემიერლიგის ფორვარდთა უძლიერესი წყვილი: შირერმა და ფერდინანდმა კოლუმბიელ ასპრილიას დროებით სათადარიგოებში მიუჩინეს ადგილი. ინგლისის ნაკრების კაპიტანი რომ არა, „ნიუკასლი" მარცხს ვერ გადაურჩებოდა — მომჯობინება შირერმა ამ სეზონში გატანილი 24-ე გოლით აღნიშნა. პირველ ტაიმში, გრეის გოლამდე ჟინოლა, ლი, შირერი და ფერდინანდი ბრწყინვალედ მოთამაშე სტუმართა ფრანგმა მეკარემ ლიონელ პერესმა გააწბილა. „სანდერლენდმა" „რენიდან" შესყიდული ალენ ჯონსონი ათამაშა, რომელსაც დებიუტანტი კი ეთქმოდა, მაგრამ მშვენივრად გამოიყურებოდა და გრეის გოლშიც დაიდო წილი: ჯონსტონ-უოდლის კომბინაცია სანდერლენდელმა აულებელი დარტყმით დაასრულა.

### ნოტინგემი 1:3 საუთჰემპტონი

**ნოტინგემი:** კროსლი, ლიტლი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, ფილიპსი, ჯემილი, სონდერსი, ჰაალანდი, უოენი (როი 57), ვან ჰუიდონკი

**საუთჰემპტონი:** ტეილორი, ვან გობელი, ლუნდეკვამი, დოდი, ბენალი, სლეიტერი, ოუკლი (ნილსონი 63), ლე ტისიე (ევანსი 68), ოსტენსტადი, ბერკოვიჩი (მედისონი 89), მეჯილტონი

**გოლი:** მეჯილტონი (8), ევანსი (87, 89), პირსი (88 პ)

მატჩის წინ „ნოტინგემის" მწვრთნელმა დეივ ბესეტმა განაცხადა, „საუთჰემპტონთან" უნდა მოვიგოთ, თორემ ჩვენი ლიგაში დარჩენის შანსი მინიმუმამდე შემცირდებაო. იმის ნაცვლად, რომ მოებდომებინათ, მასპინძლებმა საზიზღრად ითამაშეს და დაისაჯნენ კიდეც. მეჯილტონის ნაადრევმა გოლმა გატეხა ნოტინგემელები და პირველი ტაიმი ვალის მოსახდელად ითამაშეს. „საუთჰემპტონს" საქმის მოთავება შესვენებამდეც შეეძლოთ, მაგრამ გუნდის ფორვარდები სათანადოდ ვერ ირჯებოდნენ. მე-14 წუთზე წალაპარაკებულ ლე ტისიესა და ლიტლს მსაჯმა სიტყვიერი გაფრთხილება აკმარა, არადა, ორივე გაძევებას იმსახურებდა. შეხვედრის ბოლო ხუთმა წუთმა ყველა გააოგნა: ჯერ იყო და, პირსის შეცდომით ისარგებლა „პლიმუტიდან" „საუთჰემპტონში" ნახევარ მილიონ გირვანქად გადასულმა ევანსმა და თავისიანების უპირატესობა გააორმაგა, მერე პირსმა გამოასწორა შეცდომა, მაგრამ ევანსმა კვლავ არ დაზოგა თავი და მეორედაც იხეირა. შეხვედრის შემდეგ ბესეტი გაოცებული ამბობდა, მატჩის ასეთ დასასრულს არ ველოდიო, თან თავს იმშვიდებდა, თითქმის გავარდნილები კი ვართ, მაგრამ ჩვენსას მაინც ვეცდებითო.

### ტოტენჰემი 1:0 უიმბლდონი

**ტოტენჰემი:** უოქერი, ოსტინი, ედინბურგი, ფოქსი, ნილსენი, შერინგემი, დოზელი, როზენტალი, ხაილზი, კემბელი, სინტონი

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნზი, ბლექველი, ლეონარდსენი, ერლი, ჰოლდსუორსი, გეილი, რეი, ერდლი (გუდმენი 87)

**გოლი:** დოზელი (81)

მეორე ლონდონურ დერბიში, „ჩელსი" — „არსენალისგან" განსხვავებით მასპინძლებმა იმარჯვეს. „ტოტენჰემმა" სამი გოლი გაიტანა, მაგრამ არბიტრმა ორ შემთხვევაში თამაშგარე დააფიქსირა და გოლები გააუქმა. ნანატრი და ნაღდი გოლის მომლოდინე გულშემატკივრები საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე დოზელმა გაახარა, რომელმაც სინტონის კუთხური გოლად აქცია და მასპინძლებს სამი ქულა მოუტანა.

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 32 | 18 | 9 | 5 | 63:36 | 63 |
| არსენალი | 33 | 17 | 9 | 7 | 55:28 | 60 |
| ლივერპული | 32 | 17 | 9 | 6 | 54:28 | 60 |
| ნიუკასლი | 31 | 15 | 8 | 8 | 60:37 | 53 |
| ასტონ ვილა | 32 | 15 | 8 | 9 | 40:28 | 53 |
| ჩელსი | 32 | 13 | 10 | 9 | 51:47 | 49 |
| შეფილდი | 31 | 12 | 13 | 6 | 41:37 | 49 |
| უიმბლდონი | 31 | 12 | 10 | 9 | 42:38 | 46 |
| ტოტენჰემი | 32 | 12 | 6 | 14 | 39:43 | 42 |
| ლიდსი | 32 | 11 | 8 | 13 | 26:34 | 41 |
| ლესტერი | 31 | 10 | 9 | 12 | 37:44 | 39 |
| დერბი ქაუნთი | 32 | 9 | 11 | 12 | 38:49 | 38 |
| ბლეკბერნი | 31 | 8 | 12 | 11 | 33:32 | 36 |
| ევერტონი | 32 | 9 | 9 | 14 | 38:48 | 36 |
| სანდერლენდი | 33 | 8 | 10 | 15 | 30:49 | 34 |
| ვესტ ჰემი | 31 | 8 | 9 | 14 | 31:41 | 33 |
| ქოვენთრი | 33 | 7 | 12 | 14 | 29:47 | 33 |
| მიდლსბრო | 31 | 9 | 8 | 14 | 44:52 | 32 |
| ნოტინგემი | 34 | 6 | 13 | 15 | 29:52 | 31 |
| საუთჰემპტონი | 32 | 7 | 9 | 16 | 42:52 | 30 |

## პირველი დივიზიონი

### ჩარლტონი 1:1 სიტი

**სიტი:** რაიტი, ბრაითველი, მაკგოლდრიკი, კერნეგენი, საიმონსი, ბრენნი, სამერბი, ატკინსონი (ვაველაშვილი 71), ჰორლოკი, ქინქლაძე, როსლერი

1:0 ლებერნი (43), 1:1 ბრენენი (74)

ვულვერჰემპტონი — ნორვიჩი 3:2, ბარნსლი — ბირმინგემი 0:1, ბოლტონი — ქპრ 2:1, კრისტალპალასი — ჰადერსფილდი 1:1, იფსვიჩი — ოლდემი 4:0, ოქსფორდი — პორტვეილი 0:2, პორტსმუთი — გრიმსბი 1:0, შეფილდი — ვესტბრომვიჩი 1:2, სტოკ სიტი — რედინგი 1:1, სვინდონი — საუთენდი 0:0.

ბოლტონმა პრემიერლიგაში გადასვლა გაინაღდა!

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 41 | 25 | 12 | 4 | 88:49 | 87 |
| ბარნსლი | 40 | 19 | 13 | 8 | 64:45 | 70 |
| ვულვზი | 41 | 20 | 9 | 12 | 60:45 | 69 |
| შეფილდი | 42 | 18 | 11 | 13 | 70:51 | 65 |
| პორტ ვეილი | 42 | 16 | 15 | 11 | 53:48 | 63 |
| პორტსმუთი | 41 | 18 | 8 | 15 | 52:45 | 62 |
| იფსვიჩი | 41 | 16 | 13 | 12 | 59:49 | 61 |
| კრისტალ პალ. | 39 | 16 | 12 | 11 | 69:40 | 60 |
| ნორვიჩი | 42 | 16 | 11 | 15 | 61:63 | 59 |
| ტრანმერი | 41 | 16 | 11 | 14 | 57:50 | 59 |
| სტოკ სიტი | 41 | 16 | 10 | 15 | 47:51 | 58 |
| ქუინზ პარკი | 42 | 15 | 12 | 15 | 56:57 | 57 |
| ბირმინგემი | 40 | 14 | 12 | 14 | 44:45 | 54 |
| სვინდონი | 42 | 15 | 8 | 19 | 52:63 | 53 |
| ჩარლტონი | 40 | 14 | 10 | 16 | 47:55 | 52 |
| ოქსფორდი | 42 | 14 | 9 | 19 | 57:61 | 51 |
| რედინგი | 41 | 13 | 12 | 16 | 50:58 | 51 |
| სიტი | 39 | 14 | 9 | 16 | 49:50 | 51 |
| ვესტ ბრომვიჩი | 41 | 12 | 14 | 15 | 63:67 | 50 |
| ჰადერსფილდი | 41 | 12 | 13 | 16 | 45:57 | 49 |
| ბრედფორდი | 41 | 10 | 11 | 20 | 42:67 | 41 |
| გრიმსბი | 40 | 9 | 12 | 19 | 52:72 | 39 |
| ოლდემი | 40 | 9 | 11 | 20 | 44:57 | 38 |
| საუთენდი | 42 | 8 | 14 | 20 | 39:75 | 38 |



ლესტერელი მაიკ ვაითლოუს და მიდლსბროელი ფაბრიციო რავანელის ეს დუელი, ისევე როგორც მატჩი, ფრედ დამთავრდა

# ერთი თამაში არ ეყოთ

### ლიგის თასის ფინალი

### მიდლსბრო 1:1 ლესტერი

სამიოდე წუთიც და ბრაიან რობსონის გუნდი კლუბის 120 წლიან ისტორიაში პირველ დიდ პრიზს მოიგებდა. მატჩის წინ ფავორიტად „მიდლსბრო" შერაცხეს — ალბათ ბოლოდროინდელი აღმავლობის გამო, მაგრამ „მიდლსბროს" ფავორიტობით „ლესტერს" არაფერი დაჰკლებია. შეხვედრის ძირითად დროში გოლი არ გასულა, მეტოქენი უფრო კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. თუმცა, არც ის ითქმოდა, დაცვის გარდა არაფერი აფიქრებთო. საათნახევარში თითებზე ჩამოსათვლელი სახიფათო მომენტები შეიქმნა — ლესტერელთაგან ახალგაზრდა ჰესკი ყოჩაღობდა, მიდლსბროელთაგან კი რავანელი და ჟუნინიო გამოირჩეოდნენ. ძალზე კარგად ითამაშა ჟუნინიოს თანამემამულე ემერსონმა და აკი მატჩში საუკეთესოდაც დაასახელეს. ორ უგოლო ტაიმს დამატებითი დრო მოჰყვა. ამ ოცდაათი წუთის სანახავად ნამდვილად ღირდა საათნახევარი ლოდინი. ფორვარდების გააქტიურებამ თამაში გამოაცოცხლა და პირველად „მიდლსბრომ" გაიხარა: ჟუნინიოს პასით რავანელი კელერთან პირისპირ დარჩა და უნაკლოდაც დაარტყა. მალე ჟუნინიომ საჯარიმოდან დარტყმული „ლესტერის" ცოცხალ კედელს ვერ გადაავლო, სამაგიეროდ კი ემილ ჰესკიმ დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან ააცილა. დრო იწურებოდა, „მიდლსბროს" გამარჯვება ახლოვდებოდა, მაგრამ ლესტერელთაგან საუკეთესო ჰესკიმ 117-ე წუთზე გააყაიმა: „ლესტერის" კონტრშეტევისას უოლშის გადაცემა ჰესკიმ თავურით გააგრძელა, „მიდლსბროს" კარი ხარიხამ იხსნა, მოგერიებულ ბურთს 6 მეტრიდან კლერიჯმა დაამატა, დარტყმას ამჯერად ფესტა გადაეღობა, მაგრამ ბურთი იქვე მდგომ ჰესკის მიუგორდა და მასაც გატანა არ გასჭირვებია. გაშვებულმა გოლმა „მიდლსბრო" გატეხა და მეტი დრო რომ ყოფილიყო დარჩენილი, თასი ლესტერს გაემგზავრებოდა.

რადგან ფინალურმა მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, მეტოქეებს ხელმეორედ მოუწევთ შეხვედრა. ამ მატჩს 16 აპრილს შეფილდის სტადიონი „ჰილსბორო" უმასპინძლებს.

## ბელგია

29-ე ტური. სერკლ ბრიუგე — გენკი 0:4, ანტვერპენი — სენტტრიუდენი 1:2, აალსტი — ეკერენი 5:0, გენტი — ლიერსი 4:5, ლომელი — ბრიუგე 2:0, მეხელენი — შარლერუა 1:1, მუსკრონი — მოლენბეკი 2:0, ანდერლეხტი — სტანდარდი 2:1, ლოკერენი — ჰარელბეკი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიერსი | 29 | 17 | 10 | 2 | 58:32 | 61 |
| ბრიუგე | 29 | 18 | 5 | 6 | 60:32 | 59 |
| მუსკრონი | 29 | 16 | 9 | 4 | 54:29 | 57 |
| ანდერლეხტი | 29 | 14 | 9 | 6 | 50:31 | 51 |
| ლომელი | 29 | 14 | 7 | 8 | 41:38 | 49 |
| ჰარელბეკი | 29 | 12 | 9 | 8 | 44:31 | 45 |
| სტანდარდი | 29 | 14 | 2 | 13 | 49:45 | 44 |
| ანტვერპენი | 29 | 13 | 5 | 11 | 41:38 | 44 |
| გენკი | 29 | 10 | 8 | 11 | 38:36 | 38 |
| შარლერუა | 29 | 9 | 7 | 13 | 38:43 | 34 |
| სტ. ტრიუდენი | 29 | 9 | 7 | 13 | 39:49 | 34 |
| მოლენბეკი | 29 | 8 | 8 | 13 | 28:36 | 32 |
| ეკერენი | 29 | 8 | 7 | 14 | 35:49 | 31 |
| ლოკერენი | 29 | 8 | 7 | 14 | 36:51 | 31 |
| მეხელენი | 29 | 7 | 10 | 12 | 32:44 | 31 |
| გენტი | 29 | 8 | 6 | 15 | 40:53 | 30 |
| აალსტი | 29 | 5 | 10 | 14 | 34:50 | 25 |
| სერკლ ბრიუგე | 29 | 4 | 8 | 17 | 28:58 | 20 |

## საბერძნეთი

28-ე ტური: პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი 0:2, იონიკოსი — აეკი 0:0, ვერია — პაოკი 1:2, ოფი — ათინაიკოსი 3:1, კავალა — ედესაიკოსი 2:2, არისი — ქსანტი 2:1, ირაკლისი — აპოლონი 2:1, კასტორია — პანახაიკი 0:0. კალამატა — პანილიაკოსი ნუხელ გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 28 | 21 | 5 | 2 | 52:11 | 68 |
| აეკი | 28 | 19 | 5 | 4 | 66:22 | 62 |
| ოფი | 28 | 17 | 5 | 6 | 42:21 | 56 |
| პანათინაიკოსი | 28 | 17 | 3 | 8 | 45:19 | 54 |
| პაოკი | 28 | 14 | 8 | 6 | 36:26 | 50 |
| კავალა | 28 | 14 | 6 | 8 | 36:27 | 48 |
| პანილიაკოსი | 27 | 12 | 5 | 10 | 36:34 | 41 |
| იონიკოსი | 28 | 10 | 7 | 11 | 31:35 | 37 |
| ირაკლისი | 28 | 10 | 5 | 13 | 36:43 | 35 |
| ვერია | 28 | 9 | 7 | 12 | 26:25 | 34 |
| კალამატა | 27 | 8 | 8 | 11 | 31:45 | 32 |
| ქსანტი | 28 | 7 | 9 | 12 | 40:45 | 30 |
| აპოლონი | 28 | 8 | 6 | 14 | 28:37 | 30 |
| პანახაიკი | 28 | 7 | 9 | 12 | 25:35 | 30 |
| ათინაიკოსი | 28 | 7 | 6 | 15 | 28:52 | 27 |
| ედესაიკოსი | 28 | 6 | 7 | 15 | 30:46 | 25 |
| არისი | 28 | 6 | 10 | 12 | 23:41 | 25 |
| კასტორია | 28 | 1 | 5 | 22 | 11:56 | 8 |

## ესპანეთი

XXX ტური

**ოვიედო 4:1 ატლეტიკო**

1:0 ოლი (3), 2:0 ოლი (21), 3:0 ივანი (25), 4:0 ივანი (45), 4:1 ესნაიდერი (48)

**სელტა 3:1 ტენერიფე**

1:0 ანხელ მერინო (5), 1:1 პინილია (31), 2:1 მოსტოვოი (48), 3:1 მაზინიო (69)

**რაიო ვალეკანო 0:1 ესპანიოლი**

0:1 პოჩეტინო (16)

**ერკულესი 2:1 სოსიედადი**

1:0 ალფარო (2), 1:1 პერესი (66), 2:1 მაესტრო (87)

**ესტრემადურა 3:0 ლოგრონიესი**

1:0 ლორენსო (34), 2:0 დურე (82), 3:0 ენრიკე (87)

**ვალიადოლიდი 4:1 ვალენსია**

1:0 ხარანდონა (12), 2:0 ფერნანდოსანჩესი (16), 3:0 ხარანდონა (38), 4:0 კევედო (68), 4:1 ვლაოვიჩი (77)

**დეპორტივო 1:0 სარაგოსა**

1:0 რივალდო (22)

**ბეტისი 2:2 რასინგი**

1:0 ალბერტო (6 საჯ. კარში), 2:0 ალფონსო (40), 2:1 მერინო (44), 2:2 ალბერტო (89)

**ბარსელონა 4:0 სპორტინგი**

1:0 ჟოვანი (14), 2:0 დელა პენია (45), 3:0 რონალდო (61), პიცი (90)

**ბილბაო 0:0 სევილია**

რეალი — კომპოსტელა წუხელ გაიმართა

საოცრად გამძლე კაცია ბრაზილიელი რონალდო. ოთხშაბათს სამშობლოში გახლდათ ბრაზილია — ჩილეს ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ და ორი გოლი გაიტანა, კვირას კი ისევ ატლანტიკის ოკეანის გადმოლმა, ესპანეთის პირველობაზე იხარჯებოდა. აქაც შეაგდო თავისი ოცდამეხუთე მიმდინარე სეზონში და „ბარსელონას" ხიხონელებთან 4:0 მოგებაში დაეხმარა.

ეტყობა „ბარსას" მეორე ადგილის რეალურად ვერავინ შეეცილება, არ ჩანს ეგ გუნდი თავისი წილი ულუფის ხელიდან გამშვები. სერიოზული მიზნები აქვთ კატალონიელებს თასების თასზეც, სადაც ხუთშაბათს „ფიორენტინას" დაეჭიდებიან ფინალისკენ გზის გასაკვლევად. თუმცა საამთამაშოდ ერთი დანაკლისი აქვთ, ვგონებთ არცთუ უმნიშვნელო — „სპორტინგთან" ბურთაობისას დაუღალავი ლუის ენრიკე დაუშავდათ.

აი, „ბეტისმა" კი „რასინგთან" ვერ მოგებით საქმე გაირთულა, არადა 2:0-ს იგებდა.

— უამრავი შანსი გვქონდა, მაგრამ ხელიდან გავუშვით და ვერ მოვიგეთ თამაში, რომლის სადავეებიც ხელთ გვეპყრა. ასეთი რამ აღარ უნდა მოგვივიდეს, მითუმეტეს, შინ — თქვა სევილიელმა ბომბარდირმა ალფონსომ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 31 | 21 | 9 | 1 | 66:25 | 72 |
| ბარსელონა | 32 | 20 | 6 | 6 | 80:38 | 66 |
| ბეტისი | 32 | 18 | 10 | 4 | 70:34 | 64 |
| დეპორტივო | 32 | 17 | 12 | 3 | 48:22 | 63 |
| ატლეტიკო | 31 | 16 | 7 | 8 | 59:44 | 58 |
| ბილბაო | 32 | 11 | 15 | 6 | 57:44 | 48 |
| ვალიადოლიდი | 32 | 13 | 9 | 10 | 44:37 | 48 |
| სოსიედადი | 32 | 13 | 8 | 11 | 39:36 | 47 |
| ტენერიფე | 31 | 12 | 8 | 11 | 52:37 | 44 |
| ვალენსია | 32 | 12 | 7 | 13 | 47:45 | 43 |
| რასინგი | 32 | 10 | 12 | 10 | 37:36 | 42 |
| სელტა | 32 | 9 | 12 | 11 | 38:40 | 39 |
| ოვიედო | 32 | 10 | 8 | 14 | 34:50 | 38 |
| კომპოსტელა | 31 | 9 | 9 | 13 | 35:52 | 36 |
| სპორტინგი | 32 | 9 | 8 | 15 | 34:52 | 35 |
| ესტრემადურა | 32 | 9 | 8 | 15 | 28:47 | 35 |
| ესპანიოლი | 32 | 9 | 7 | 16 | 34:46 | 34 |
| სარაგოსა | 32 | 7 | 12 | 13 | 39:51 | 33 |
| რაიო | 32 | 9 | 6 | 17 | 31:46 | 33 |
| ერკულესი | 32 | 8 | 4 | 20 | 29:59 | 28 |
| ლოგრონიესი | 32 | 8 | 4 | 20 | 26:65 | 28 |
| სევილია | 32 | 7 | 5 | 20 | 29:56 | 26 |


AP გამოსახულება

ბრაზილიელი რონალდო, ცხადია, ვერც ხიხონელებმა შეაჩერეს

## რუსეთი

### ნუგზარი ლევანზე წუხს

მე-4 ტური: ცსკა — ჟემჩუჟინა 1:1, ლოკომოტივი — ნიჟნი ნოვგოროდი 1:1, ბალტიკა — დინამო 0:2, კრილია სოვეტოვი — ალანია 1:3, ზენიტი — როტორი 0:1, როსტსელმაში — ფაკელი 2:0, ჩერნომორეცი — ტორპედო 2:1, კამაზი — შინიკი 3:0, ტიუმენი — სპარტაკი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| როტორი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| როსტსელმაში | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| კრილია | 4 | 3 | 0 | 1 | 4:3 | 9 |
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | 7 |
| ზენიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:1 | 7 |
| ბალტიკა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ალანია | 4 | 2 | 0 | 2 | 9:5 | 6 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 3 | 0 | 7:5 | 6 |
| ჩერნომორეცი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ჟემჩუჟინა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ტორპედო | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ცსკა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| შინიკი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | 3 |
| კამაზი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:11 | 3 |
| ტიუმენი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| ნ. ნოვგოროდი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:4 | 1 |
| ფაკელი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:6 | 0 |

ტურში თავი გამოიჩინეს ცხადაძემ და გახოკიძემ: სამარელთა კარში გატანილი მეორე და მესამე გოლები მათ ანგარიშზეა. ჩვენ კი ცსკა — ჟემჩუჟინას თამაშის შემდეგ კიდევ ერთ ჩვენებურს, არმიელ ნუგზარ ლობჟანიძეს შევეხმიანეთ.

— რომ იტყვიან, თავზე ვასხედით, სოჭელებს საგოლე მომენტი კი არა, კარში არ დაურტყამთ, ჩვენ კი უამრავი მომენტი გავაცუდეთ და დავისაჯეთ: კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი ჩვენმა მცველმა თავით მოიგერია და ისე კოხტად დაასვა ფეხზე ჟემჩუჟინელ თავდამსხმელს, რომ იმან პირდაპირ ცხრიანში გაგვიტანა. ისევ კულიკმა გადაგვარჩინა და პენალტით ანგარიში გაათანაბრა.

**— შენ რა პოზიციაზე ითამაშე?**

— უკანა მცველად. სადირინმა მითხრა, სულ ასე გათამაშებო...

**— ადრე გვითხარი, ერთწლიანი კონტრაქტი მაქვსო, სადირინმა კი თქვა, ორი წლით გვეკუთვნისო...**

— კონტრაქტს ერთწლიანს მოვაწერე ხელი, სადირინი კი ორწლიანს მთავაზობდა. ვუთხარი, ერთი წელი შემხედეთ, თუ მოგეწონებით, დავსხდეთ და მერე მოვილაპარაკოთ-მეთქი.

**— წლეულს რას გეგმავთ?**

— ჩვენი მიზანი უეფას თასზე თამაშია, თუმცა ხელმძღვანელებს გათვითცნობიერებული აქვთ, რომ გუნდი ახალი შეკრებილია და შესაძლოა მიზანს ვერ მივაღწიოთ. ინტერტოტოს თასის საგზური კი მაინც უნდა მოვიპოვოთ. წელს, სხვათა შორის, ინტერტოტო განაღდებული გვაქვს, ეგ კი არა, თასების თასზე გასასვლელადაც ვიბრძვით: 8 აპრილს რამენსკოეში იქაურ „სატურნს" ვეთამაშებით მეოთხედფინალში. თუ მოვიგეთ, ნახევარფინალში „სპარტაკი" გველოდება.

**— ამასობაში, ნაკრების თამაშის დროც მოახლოვდება...**

— ძალზე დაძაბული კალენდარი გვაქვს: ჯერ თასზე „სატურნი", მერე იაროსლავლში „შინიკი", შემდეგ „ტორპედო", 24 აპრილს კი „სპარტაკს" ვხვდებით ჩემპიონატის მატჩში. მეშინია კიდეც არ გადავიწვე, ყოველ მესამე-მეოთხე დღეს გვიწევს თამაში...

—დღეს ტელევიზორს ვუყურე და კინაღამ გადავირიე, კობიაშვილის ტრავმა რომ გამოაცხადეს. ლევანი უკვე დიდი ძალაა და თუ ინგლისამდე ვერ მოშუშდა, სათამაშო სქემა აგვერევა, მისი ფუნქციები ხომ ვინმემ უნდა იტვირთოს. მოკლედ, ღმერთმა ქნას, კობიაშვილი ინგლისამდე მომჯობინდეს...

**მამუკა კვარაცხელია**

# დორტმუნდს გლომად აკლია

## გერმანია

XXVI ტური

**ფორტუნა 2:0 ზანქტ პაული**

1:0 კატემანი (32), 2:0 ზეელიგერი (72)

**დორტმუნდი 2:0 ბოხუმი**

1:0 შაპუიზა (33), 2:0 შაპუიზა (72)

**კარლსრუე 0:0 შალკე**

**ვერდერი 2:1 არმინია**

0:1 რეები (11), 1:1 ჰერცოგი (17), 2:1 ბოდე (68)

**ჰამბურგი 0:3 ბაიერნი**

0:1 კლინსმანი (16), 0:2 ბაბლერი (43), 0:3 ჰელმერი (64)

**ჰანზა 1:0 ლევერკუზენი**

1:0 მიჩევსკი (75)

**მიუნხენი 3:0 მიონხენგლადბახი**

1:0 ეფენბერგი (53 საჯ. კარში), 2:0 ბორიმიროვი (54), 3:0 ბენდერი (59)

**კიოლნი 2:5 დუისბურგი**

1:0 ანდერსენი (8), 2:0 ბრაუნი (22), 2:1 ზაიერი (42), 2:2 მარინი (61), 2:3 ხალუ (68), 2:4 ვოლტერსი (72), 2:5 შტეფენი (86)

**ფრაიბურგი 1:1 შტუტგარტი**

გილევიჩი (64), 1:1 ვასმერი (66)

„ვესტფალენ შტადიონზე" 55 ათასი მაყურებელი ესწრებოდა დორტმუნდელთა მიერ „ბოხუმის" ძლევას. მართალია, მასპინძლებს მეორე ტაიმში, 85-ე წუთზე საუკეთესო ფეხბურთელი მათიას ზამერი გაუძევეს მოედნიდან, მაგრამ მათი უპირატესობა ამით არ შებღალულა. „დორტმუნდს" მეტი გოლის გატანა შეეძლო და მართებდა კიდეც, თუმცა შვეიცარიელი შაპუიზას ორით დაკმაყოფილდა. დაუღალავ თავსხმაში „ყვითელთა" რამდენიმე მომენტს 33-ზე გოლი მოჰყვა: ზამერმა შაპუიზას თაური ასისტენტობა გაუწია. შვეიცარიელის მეორე გოლი პენალტით გავიდა, მას მერე რაც შტეფან როიტერმა ბოხუმელებს საჯარიმოში წესის დარღვევა გამოსტყუა.

— მეტიც შეგვეძლო — თქვა მატჩის შემდეგ „ბორუსიის" მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა — მაგრამ რაც იყო, იმითაც ერთობ კმაყოფილი გახლავართ. ჯერ ერთი, მომენტები მრავლად შევქმენით, მეორეც დაცვაში ვითამაშეთ ჩინებულად

გამარჯვებულებს კიდევ ერთი სიხარული ჰქონდათ — ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მოედანს შტეფან ფროინდი დაუბრუნდა. მან შოტლანდიელი პოლ ლამბერტი შეცვალა, ფეხბურთელი, რომელმაც ჩინებულად ითამაშა.

და მაინც, დორტმუნდელებს პრობლემები მრავლად აქვთ. ზამერი, რომელიც „ბოხუმთან" შეხვედრაში მოედნიდან გააძევეს, ხვალ „მანჩესტერ იუნაიტედთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩსაც გამოტოვებს, რადგან იმ შეჯიბრებაშიც დისკვალიფიცირებულია — ორი ყვითელი ბარათი დაუგროვდა. ზამერის გარდა ვერ ითამაშებს ბრაზილიელი ხულიო სეზარი — მისი მკურნალობა საოთხშაბათოდ ვერ მოესწრო. დაშავებულნი არიან ფორვარდები კარლ-ჰაინც რიდლე და ჰაიკო ჰერლიხიც, თუმცა მათი გამოჯანმრთელების იმედი აქვთ. რიდლეს, მაგალითად, საბოლოოდ დღეს გასინჯავენ.

„შტუტგარტმა" „ფრაიბურგთან" ფრეთი თავს ცუდი სამსახური გაუწია. მან ბრაზილიელი თავდამსხმელის [illegible] ელბერის გოლმა ბევრი არაფერი დაკლო იმ გუნდის [illegible] სეზონში [illegible] გამარჯვება აქვს მოპოვებული და ცალი ფეხით მეორე ბუნდესლიგაშია. პოლონელი რადოსლავ გილევიჩის ეშხიან გოლს ორ წუთში უკვე ვასმერის პასუხი მოჰყვა.

— „ფრაიბურგს" ჩინებული საჩუქარი მივართვით — თქვა შტუტგარტელთა მწვრთნელმა იოახიმ ლევმა — მას მერე რაც დავწინაურდით, დაცვაში დავუშვით უხეში შეცდომები.

„შალკემ" „კარლსრუესთან" სტუმრად ვერ გაიტანა და არ გაუშვა. მისი იური მულდერი და მარტინ მაქსი კი დღეს „ტენერიფესთან" უეფას თასის ნახევარფინალურ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. ორივე მე-13 წუთზე დაშავდა, ოღონდ ჯერ მაქსი, მერე მულდერი.

— ბურთი უკვე შორს იყო, როცა რაიხი მულდერს მთელი ტანით ეძგერა. მსაჯი ამას ვერ შენიშნავდა, მაგრამ თანამსაჯი ვალდებული იყო — განაცხადა „შალკეს" მენეჯერმა რაუდი ასაუერმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 26 | 16 | 7 | 3 | 47:24 | 55 |
| დორტმუნდი | 26 | 16 | 4 | 6 | 53:30 | 52 |
| ლევერკუზენი | 26 | 15 | 5 | 6 | 50:32 | 50 |
| შტუტგარტი | 26 | 14 | 7 | 5 | 61:27 | 49 |
| კარლსრუე | 26 | 10 | 8 | 8 | 42:33 | 38 |
| მიუნხენ 1860 | 26 | 10 | 8 | 8 | 45:41 | 38 |
| შალკე 04 | 26 | 10 | 8 | 8 | 31:31 | 38 |
| ბოხუმი | 25 | 9 | 10 | 6 | 36:37 | 37 |
| ვერდერი | 26 | 10 | 5 | 11 | 40:42 | 35 |
| კიოლნი | 26 | 10 | 4 | 12 | 42:47 | 34 |
| გლადბახი | 26 | 9 | 5 | 12 | 27:32 | 32 |
| დუისბურგი | 26 | 8 | 8 | 10 | 30:38 | 32 |
| ჰამბურგი | 26 | 7 | 9 | 10 | 37:43 | 30 |
| არმინია | 26 | 8 | 6 | 12 | 30:38 | 30 |
| ფორტუნა | 26 | 8 | 4 | 14 | 21:41 | 28 |
| ჰანზა | 26 | 7 | 6 | 13 | 28:36 | 27 |
| ზანქტ პაული | 25 | 6 | 5 | 14 | 29:46 | 23 |
| ფრაიბურგი | 26 | 4 | 3 | 19 | 27:58 | 15 |

### მეორე ბუნდესლიგა

24-ე ტური: მაინცი — ლიუბეკი 1:1, კარლ ცაისი — მანჰაიმი 1:1, კიკერსი — აინტრახტი 0:0, გიუტერსლო — ფორტუნა (კიოლნი) 1:0, ურდინგენი — ცვიკაუ 3:0, ვოლფსბურგი — ოლდენბურგი 2:2, ლაიპციგი — როტ ვაისი 2:0, უნტერჰახინგი — მეპენი 1:2. ჰერტა — კაიზერსლაუტერნი წუხელ გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაისერსლაუტერნი | 23 | 12 | 9 | 2 | 43:14 | 45 |
| ჰერტა | 23 | 13 | 4 | 6 | 42:24 | 44 |
| ვოლფსბურგი | 24 | 9 | 11 | 4 | 32:21 | 38 |
| მაინცი | 24 | 9 | 10 | 5 | 36:26 | 37 |
| მეპენი | 24 | 9 | 10 | 5 | 31:27 | 37 |
| კიკერსი | 24 | 9 | 8 | 7 | 29:22 | 35 |
| უნტერჰახინგი | 24 | 7 | 14 | 3 | 22:17 | 35 |
| ურდინგენი | 24 | 10 | 4 | 10 | 37:29 | 34 |
| ლაიპციგი | 24 | 9 | 6 | 9 | 37:40 | 33 |
| გიუტერსლო | 24 | 9 | 6 | 9 | 30:35 | 33 |
| აინტრახტი | 24 | 8 | 7 | 9 | 29:30 | 31 |
| ფორტუნა | 24 | 7 | 8 | 9 | 38:33 | 29 |
| კარლ ცაისი | 24 | 6 | 11 | 7 | 30:32 | 29 |
| მანჰაიმი | 24 | 7 | 6 | 11 | 32:38 | 27 |
| ლიუბეკი | 24 | 5 | 10 | 9 | 21:35 | 25 |
| ცვიკაუ | 24 | 7 | 4 | 13 | 20:35 | 25 |
| ოლდენბურგი | 24 | 5 | 6 | 13 | 26:50 | 21 |
| როტ ვაისი | 24 | 6 | 2 | 16 | 26:53 | 20 |

## პორტუგალია

25-ე ტური: ბენფიკა — სპორტინგი 1:0, ბრაგა — ამადორა 1:2, ჟილ ვისენტე — სალგეიროში 1:3, პორტუ — ესპინიუ 3:0, სეტუბალი — შავეში 1:0, ლეცა — ფარენსე 0:0, მარიტიმუ — რიუავე 1:0, ბელენენსეში — ლეირია 1:0, გიმარაეში — ბოავიშტა წუხელ გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 25 | 20 | 3 | 2 | 59:16 | 63 |
| სპორტინგი | 25 | 16 | 5 | 4 | 40:14 | 53 |
| ბენფიკა | 25 | 14 | 5 | 6 | 42:20 | 47 |
| ბრაგა | 25 | 11 | 7 | 7 | 33:36 | 40 |
| გიმარაეში | 24 | 11 | 5 | 8 | 39:32 | 38 |
| სალგეიროში | 25 | 10 | 8 | 7 | 37:35 | 38 |
| ამადორა | 25 | 9 | 9 | 7 | 30:27 | 36 |
| ბელენენსეში | 25 | 9 | 7 | 9 | 32:40 | 34 |
| შავეში | 25 | 9 | 6 | 10 | 32:39 | 33 |
| სეტუბალი | 25 | 8 | 8 | 9 | 27:31 | 32 |
| ფარენსე | 25 | 7 | 10 | 8 | 20:22 | 31 |
| მარიტიმუ | 25 | 8 | 6 | 11 | 27:35 | 30 |
| ბოავიშტა | 24 | 6 | 11 | 7 | 32:30 | 29 |
| ლეცა | 25 | 7 | 7 | 11 | 27:31 | 28 |
| ესპინიუ | 25 | 8 | 4 | 13 | 21:36 | 28 |
| რიუ ავე | 25 | 5 | 6 | 14 | 26:36 | 21 |
| ლეირია | 25 | 5 | 5 | 15 | 20:39 | 20 |
| ჟილ ვისენტე | 25 | 2 | 6 | 17 | 24:49 | 12 |

## ჰოლანდია

27-ე ტური. ვალვაიკი — ტვენტე 3:2, ვოლენდამი — აიაქსი 0:3, უტრეხტი — ნაიმეგენი 1:1, ფეიენოორდი — ვიტესი 0:0, ბრედა — ეინდჰოვენი 2:2, სიტარდი — გრონინგენი 0:2, ჰერენვენი — ტილბურგი 3:1, გრააფსხაპი — სპარტა 0:2, როდა — აზ 67 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 27 | 18 | 5 | 4 | 69:20 | 59 |
| ფეიენოორდი | 27 | 18 | 5 | 4 | 47:24 | 59 |
| ტვენტე | 27 | 17 | 4 | 6 | 47:22 | 55 |
| აიაქსი | 26 | 13 | 9 | 4 | 38:21 | 48 |
| ჰერენვენი | 27 | 12 | 10 | 5 | 48:32 | 46 |
| ვიტესი | 26 | 12 | 7 | 7 | 42:30 | 43 |
| როდა | 28 | 11 | 8 | 9 | 38:37 | 41 |
| ბრედა | 27 | 10 | 7 | 10 | 36:40 | 37 |
| გრააფსხაპი | 27 | 10 | 5 | 12 | 39:41 | 35 |
| უტრეხტი | 27 | 6 | 12 | 9 | 32:35 | 30 |
| ტილბურგი | 26 | 8 | 5 | 13 | 30:42 | 29 |
| ვოლენდამი | 28 | 7 | 8 | 13 | 26:47 | 29 |
| სპარტა | 26 | 8 | 4 | 14 | 29:37 | 28 |
| გრონინგენი | 27 | 6 | 10 | 11 | 31:48 | 28 |
| სიტარდი | 27 | 6 | 10 | 11 | 23:41 | 28 |
| ნაიმეგენი | 28 | 5 | 9 | 14 | 29:50 | 24 |
| აზ 67 | 28 | 5 | 7 | 16 | 22:36 | 22 |
| ვალვაიკი | 27 | 5 | 7 | 15 | 28:51 | 22 |

## ავსტრია

25-ე ტური: ზალცბურგი — აუსტრია 1:0, კაზინო — ტიროლი 2:1, ლინცერი — ლინცი 1:1, რაპიდი — შტურმი 0:2, რიედი — ადმირა ვაკერი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 25 | 14 | 8 | 3 | 33:12 | 50 |
| რაპიდი | 25 | 13 | 8 | 4 | 47:23 | 47 |
| ტიროლი | 25 | 10 | 7 | 8 | 35:28 | 37 |
| ლინცერი | 25 | 8 | 12 | 5 | 27:23 | 36 |
| შტურმი | 25 | 8 | 10 | 7 | 29:23 | 34 |
| კაზინო | 25 | 7 | 10 | 8 | 26:31 | 31 |
| აუსტრია | 25 | 9 | 4 | 12 | 27:39 | 31 |
| რიედი | 25 | 8 | 3 | 14 | 30:43 | 27 |
| ლინცი | 25 | 5 | 7 | 13 | 15:29 | 22 |
| ადმირა ვაკერი | 25 | 5 | 7 | 13 | 24:42 | 22 |

ფირმა „ფორტუნა-97" ატარებს
თბილისის პირველ ღია ჩემპიონატს
ჯოკერსა და პრეფერანსში
მონაწილეობა ფასიანია:
ჯოკერი 30 ლარი პრეფერანსი 40 ლარი
პრიზიორები დაჯილდოვდებიან
სოლიდური თანხით
მსურველთა რეგისტრაცია:
17 აპრილის ჩათვლით — „ჯოკერში"
1 მაისის ჩათვლით — „პრეფერანსში".
ცნობებისთვის მიმართეთ: ა. ჭავჭავაძის ქ. №49ა
სპორტის დეპარტამენტის შენობაში, სალონი „ფერია"
ლოკომოტივის სტადიონის პირდაპირ
10 საათიდან 20 საათამდე ☎ 23 41 96

თქვენ გიყვართ ფეხბურთი! ფეხბურთი გაძლევთ შანსს! უპასუხეთ მხოლოდ ხუთ შეკითხვას და დაისვენეთ ესპანეთში

# CROCO და ბრიტანული ფირმა Travel Club International

# სუპერ კონკურსი შანსით

## მთავარი პრიზი:

## *ერთკვირიანი დასვენება ორ კაცზე სამხრეთ ესპანეთის ხმელთაშუაზღვისპირა ფეშენებელურ კურორტ კოსტა დელ სოლში!*

ახალ წლამდე თქვენთვის სასურველ დროს ივლის-აგვისტოს გარდა

**ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო;**
**ავიაბილეთები: თბილისი-მოსკოვი-მალაგა-მოსკოვი-თბილისი;**
**დახვედრა მალაგის აეროპორტში და სასტუმროში მიყვანა**

## საგანგებო პრიზი:

**ინგლისის ნაკრების ნაღდი მაისური გადაეცემა კონკურსის იმ მონაწილეს, რომელიც ყველაზე მეტ ვარიანტს ითამაშებს.**

პატიოსანი თამაშის პრინციპის დასაცავად 26 აპრილის „სარბიელში“ გამოქვეყნდება შემოსულ ვარიანტთა სრული ნუსხა.




## კონკურსში მონაწილეობის წესები

☑ კონკურსის მონაწილემ უნდა შეავსოს ქვემოთ შემოთავაზებული ბილეთი (პასუხი ჩაიწეროს შესაბამის გრაფაში), ამოჭრას და ჩააბაროს შემდეგ მისამართებზე:

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში (პუშკინის ქუჩა №16)

☑ კონკურსის მონაწილეს შეუძლია წარადგინოს ნებისმიერი რაოდენობის ვარიანტი.
☑ თითოეული ბილეთის (ვარიანტის) ღირებულებაა 50 თეთრი, რომელსაც კონკურსის მონაწილე გადაიხდის ბილეთის ადგილზე ჩაბარებისას.
☑ ბილეთები მიიღება 5-დან 20 აპრილამდე ყოველდღე, ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა, 13-დან 16 საათამდე.
☒ მიიღება მხოლოდ „სარბიელიდან“ ამოჭრილი ბილეთები
☑ საკონკურსო ბილეთები დაიბეჭდება „სარბიელში“ 5, 8, 10, 12, 15, 17 და 19 აპრილს.
☑ თუ ხუთივე საკონკურსო კითხვას ორმა ან მეტმა მოხაწილემ გასცა სწორი პასუხი, მათ მიიწვევენ ბრიტანული ფირმის თბილისის ოფისში მთავარი პრიზის მფლობელის გამოსავლენად.
☑ თუ ხუთივე საკონკურსო კითხვას სწორად ვერავინ უპასუხა, მაშინ გამარჯვებულად ჩაითვლება ოთხ კითხვაზე სწორი პასუხის გამცემი და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ ბოლო ორ კითხვაზე სწორი პასუხის გამცემთ.

# დღევანდელ „სარბიელში“ გთავაზობთ ორ ბილეთს ანუ ორ შანსს!

❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?

:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?

:

სახელი, გვარი
მისამართი ☎
სამსახური

№ — ბილეთის ჩაბარების თარიღი

ამ ორ გრაფას მხოლოდ ბილეთის მიმღები ავსებს

№ — ბილეთის ჩაბარების თარიღი


❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?

:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?

:

სახელი, გვარი
მისამართი ☎
სამსახური

№ — ბილეთის ჩაბარების თარიღი

ამ ორ გრაფას მხოლოდ ბილეთის მიმღები ავსებს

№ — ბილეთის ჩაბარების თარიღი

# ✦ კალათბურთი ✦

# რუსთაველთა ნაბიჯი ოთხეულში

ვერის ბაღი. ხუთეულის გამოტოვებული მატჩები
5 აპრილი

**დინამო — აზოტი 99:76**

**დინამო:** ნიკოლაძე (10), მაისურაძე (6), კილაძე (15), ცხვედიანი (19), მაჭარაძე (2); ძლენტი (5), ხოშტარია (7), ბეჟანიშვილი (10), ოთიურიძე (8), ნინიაშვილი (16)

**აზოტი:** გაბისონია (11), ჯიმშელეიშვილი, გოგოლაძე (12), წიკლაური (6), ბოისა (30); კიკვიძე, ხაიაური (2), კოქლამაზაშვილი (6), კეჭაყმაძე (5), ტაბალუა (4)

დინამოელებმა აშკარად მოუმატეს ხუთეულის პირველ წრესთან შედარებით. რუსთაველებთან შეხვედრაში ისინი უეჭველ ფავორიტებად კი ითვლებოდნენ, მაგრამ თუ ასე იოლად, პირველ ტაიმშივე გადაწყვეტდნენ მატჩის ბედს, ამას არავინ ელოდა. რუსთაველები ბოლო დღეებში ფეხატკიებული თავიანთი მეორე ცენტრალური თავდამსხმელის ირაკლი ჯაფარიძის გარეშე თამაშობენ და ფარზე ბრძოლის მთელი სიმძიმე ბოისას დააწვა. 16 წლის ნიჭიერი კალათბურთელი ჩინებულად კი თამაშობს, მაგრამ ჯაფარიძესთან ერთად ბევრად უფრო უადვილდებოდა უფროსების გამკლავება. „დინამო“ პირველ ნახევარშივე დაწინაურდა 17 ქულით და მეორეში ორივე გუნდმა თადარიგის მოთამაშეები გამოსცადა.

6 აპრილი

**აზოტი — შევარდენი 87:75**

**აზოტი:** გაბისონია (5), კიკვიძე (6), გოგოლაძე (11), კეჭაყმაძე (26), ბოისა (27); წიკლაური (5), კოქლამაზაშვილი (7)

**შევარდენი:** მაჭავარიანი, ჩხეიძე (9), წოწელია (34), გიგაური (2), ქევხიშვილი (15); ორჯონიკიძე (7), ლვინეფაძე

ნახევარფინალებში მეოთხე ადგილისთვის სწორედ ეს გუნდები იბრძვიან, რადგან „ვითამ“, სდასუმ და „დინამომ“ უკვე მოიპოვეს იქ გამოსვლის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ხუთეულს კიდევ ერთი წრე აქვს სათამაშო. ამიტომ ამ მატჩს ინტერესით ელოდნენ გულშემატკივრები და აკი იმედიც გაუმართლდათ...

დასაწყისში გუნდები კარგახანს „მხარდამხარ მიაბიჯებდნენ“ და მეხუთე წუთისთვის ანგარიში 16:15 იყო „აზოტის“ სასარგებლოდ. შემდეგ მეტოქეებმა სამქულიანებში შეჯიბრი მოაწყეს. გაბისონიას, კიკვიძეს და კეჭაყმაძეს წოწელია და ჩხეიძე პასუხობდნენ, თუმცა რუსთაველებმა უფრო მეტი ჩააგდეს და საგრძნობლად დაწინაურდნენ 34:26. მაგრამ ტაიმის ბოლო „შევარდენისა“ იყო. შშვენივრად ითამაშა წოწელიამ, ქევხიშვილმაც რამდენჯერმე მოუგო ფარზე ბოისას და ბოლოს ორჯონიკიძის სამქულიანის შემდეგ „შევარდენი“ დაწინაურდა. წოწელიას ფარქვეშ გასვლამ და ჩხეიძის ჯარიმამ კი პირველი ტაიმი „შევარდენს“ ხუთი ქულით მოაგებინა.

მეორე ნახევრის დასაწყისი რამდენიმე შედეგიანი შეტევის გაცვლის შემდეგ კვლავ „შევარდენის“ უპირატესობით წარიმართა. ისევ კარგად თამაშობენ წოწელია და ქევხიშვილი და მეექვსე წუთზე ანგარიში რუსთაველთათვის საგანგაშო ხდება 57:46. აქ კი მოულოდნელი რამ მოხდა: ხუთი წუთის განმავლობაში „შევარდენმა“ ერთი ქულაც ვერ მოიპოვა, რუსთაველებმა კი გაილაღეს და ბოისასა და განსაკუთრებით კეჭაყმაძის ჩინებული თამაშის წყალობით ეს მონაკვეთი 13:0 მოიგეს — 59:57. შევარდენელები გონს მოეგნენ და, თუმცა კეჭაყმაძის შეჩერება შეუძლებელი იყო, წოწელია მას ღირსეულად პასუხობდა. საკმაო ხანს თამაში თანაბარია, მდგომარეობას ამძაფრებს ისიც, რომ ორივე გუნდის ცენტრებს, ბოისასა და ქევხიშვილს 4-4 პერსონალური შენიშვნა აქვთ და... ბოისა ასწრებს — მასთან ბრძოლაში ქევხიშვილი მეხუთე პერსონალურს იღებს და ბოისა 2 ქულასაც მატებს თავისიანებს. რუსთაველები წინ გადიან, მაგრამ წოწელია ოქროს ფასის შეტევას ახორციელებს — ორ ქულასაც აგდებს, ერთ ჯარიმასაც და ამ მატჩში შესანიშნავად მოთამაშე კეჭაყმაძესაც მეხუთე პერსონალურს ჰკიდებს. რუსთაველები ორი ქულით იგებენ — 77:75 და აქ მატჩის საბედისწერო მომენტი დგება. ფარქვეშ მყოფ წიკლაურს მაჭავარიანმა ხელი უბიძგა, მსაჯმა წესის დამრღვევი დააჯარიმა და მაჭავარიანმაც მორჩილად მიიღო სასჯელი. მაგრამ რატომღაც აღშფოთდა ორჯონიკიძე, რომელიც მანამდე არ დაწყნარდა, სანამ მსაჯმა „შევარდენი“ 4 ჯარიმით არ დააჯარიმა. რუსთაველებმა ყველაფერი მაქსიმალურად გამოიყენეს, ერთბაშად შვიდი ქულა მიითვალეს და ანგარიშიც უცებ 84:75 გახდა. ამ მომენტმა საბოლოოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი და შეხვედრის ბოლოს ნირწამხდარი შევარდენელები მხოლოდღა შეჰყურებდნენ, როგორ ათამაშებდნენ რუსთაველები ბურთს მსაჯის სასტვენამდე.

VI-XII ადგილები

**5 აპრილი.** კოლხეთი — მერანი 88:82, ახკ — დინამო 2 91:81

**6 აპრილი.** კოლხეთი — მაკაბი 87:73, ახკ — მერანი 98:50

**7 აპრილი.** დინამო 2 — კოლხა 88:86, ახკ — მაკაბი 81:80

ქუთაისელებმა მაინც ვერ მოუყარეს თავი ხუთ კალათბურთელს და ისინი მოიხსნენ გათამაშებიდან. რადგან მათ მატჩების 50 პროცენტი არ აქვთ ნათამაშევი, მათი შედეგები გაუქმებულია.

კარგად ასპარეზობენ არმიელი კალათბურთელები, რომელთაც ყველა თამაში მოიგეს და პირიქით — ცუდად გამოდის „მაკაბი“, რომელიც პირველი წრის მერე მეექვსე ადგილზე იყო. არმიელთა და მაკაბელთა შეხვედრა დრამატულად წარიმართა და ყველაფერი მატჩის დამთავრებამდე 1 წამით ადრე არმიელი მინაშვილის მიერ გამოყენებულმა საჯარიმომ გადაწყვიტა.

გამოასწორეს მდგომარეობა კოლხეთელებმაც, რომელთაც ორი მარცხის შემდეგ ზედიზედ ორჯერ მოიგეს „მერანთან“ და „მაკაბისთან“.

„კოლხასა“ და „დინამოს“ პრინციპული მატჩის ბედიც უკანასკნელ წუთებში გადაწყდა. „კოლხამ“, რომელიც თორმეტ ქულას იგებდა მეორე ტაიმის შუაში, ბოლო წუთებზე ხელიდან გაუშვა გამარჯვება. ყველაფერი ვეფხვაძის ზუსტად ნატყორცნმა საჯარიმოებმა გადაწყვიტა.

ერთი საინტერესო ამბავიც: კალათბურთის ფედერაციამ ნება დართო ქუთაისელთა კაპიტანს დავით ბერეკაშვილს ხუთეულის შემდეგ წრეში სდასუს შემადგენლობაში ითამაშოს. სტუდენტთა გუნდისთვის, რომელსაც ძალზე შეზღუდული შემადგენლობა ჰყავს, ეს საკმაოდ კარგი შენაძენი იქნება.

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

4 აპრილი

სან ანტონიო — ლეიკერზი 94:83, პორტლენდი — მილუოკი 108:93, ჰიუსტონი — საკრამენტო 108:94, იუტა — ვანკუვერი 106:79, ფინიქსი — დენვერი 122:113, ჩიკაგო — კლივლენდი 84:71, ინდიანა — ფილადელფია 114:103, მინესოტა — ვაშინგტონი 97:95, ორლანდო — ნიუ იორკი 93:84, ატლანტა — დეტროიტი 103:85, კლიპერზი — ბოსტონი 117:102

5 აპრილი

ფინიქსი — პორტლენდი 99:90, გოლდენ სტეიტი — სან ანტონიო 120:103, ნიუ იორკი — ატლანტა 102:97, შარლოტი — ფილადელფია 115:113, მაიამი — ტორონტო 98:84, სიეტლი — დალასი 103:84

6 აპრილი

ლეიკერზი — დალასი 87:80, იუტა — გოლდენ სტეიტი 114:100, საკრამენტო — სიეტლი 113:101, ჩიკაგო — ორლანდო 110:94, ინდიანა — მინესოტა 94:83, ჰიუსტონი — ვანკუვერი 94:85, ვაშინგტონი — ბოსტონი 120:114, კლიპერზი — ნიუ ჯერსი 103:96

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| *ჩიკაგო* | 65 | 10 | 86,7 |
| *მაიამი* | 56 | 18 | 75,7 |
| *ნიუ იორკი* | 53 | 22 | 70,7 |
| *დეტროიტი* | 51 | 23 | 68,9 |
| *ატლანტა* | 51 | 24 | 68,0 |
| *შარლოტი* | 48 | 26 | 64,9 |
| ორლანდო | 41 | 34 | 54,7 |
| ვაშინგტონი | 39 | 36 | 52,0 |
| კლივლენდი | 38 | 36 | 51,4 |
| ინდიანა | 37 | 38 | 49,3 |
| მილუოკი | 29 | 45 | 39,2 |
| ტორონტო | 27 | 48 | 36,0 |
| ნიუ ჯერსი | 23 | 51 | 31,1 |
| ფილადელფია | 21 | 53 | 28,4 |
| ბოსტონი | 13 | 63 | 17,1 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| *იუტა* | 57 | 17 | 77,0 |
| *სიეტლი* | 52 | 24 | 68,4 |
| *ჰიუსტონი* | 51 | 24 | 68,0 |
| *ლეიკერზი* | 51 | 24 | 68,0 |
| *პორტლენდი* | 44 | 32 | 57,9 |
| მინესოტა | 37 | 38 | 49,3 |
| ფინიქსი | 36 | 39 | 48,0 |
| კლიპერზი | 34 | 41 | 45,3 |
| საკრამენტო | 30 | 45 | 40,0 |
| გოლდენ სტეიტი | 28 | 47 | 37,3 |
| დალასი | 22 | 53 | 29,3 |
| დენვერი | 20 | 54 | 27,0 |
| სან ანტონიო | 19 | 55 | 25,7 |
| ვანკუვერი | 12 | 65 | 15,6 |

*გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ფლეი-ოფში*

# ავტორბოლა

**IndyCar** ინდიკარის II ეტაპი

# ბრაზილიელთა შეჯახება ავსტრალიაში



პრუეტი ზეიმობს

CART-ის (ინდიკარი) პირველი ეტაპის შემდეგ ამ ორგანიზაციის კომისიამ რბოლის შედეგებში შესწორებები შეიტანა, რის შედეგად პრუეტი, გუჟელმინი და ზანარდი შესაბამისად მე-5-7 ადგილებზე აღმოჩნდნენ. ზანარდი ყვითელ ალამზე გასწრებისთვის 25 წამით დაჯარიმდა და მეშვიდეზეც ამიტომ გადაინაცვლა.

ჩემპიონატის მეორე ეტაპი ავსტრალიაში, ქვინზლენდის ქალაქ სერფერს პარადაიზის ქუჩებში ჩატარდა. საკვალიფიკაციო რბოლაში თავიდან საუკეთესო დრო ზანარდიმ (რჰ) აჩვენა, შემდეგ პოლ ტრეისიმ (პმ) გააუმჯობესა იტალიელის შედეგი, მაგრამ რამდენიმე წუთში „რეინარდის“ პილოტმა 0,2 წამი ჩამოაკლო ტრეისის დროს, 2,795 მილი სიგრძის ტრასა 1.35,940 სთ-ში (169, 902 კმ-სთ) გაიარა და ზედიზედ მეექვსე პოული მოიპოვა, რითაც მარიო ანდრეტისა და დენ სალივანის რეკორდი გაიმეორა. პოულის მფლობელის რბოლაში მონაწილეობა საეჭვო იყო თვალის ინფექციის გამო, მაგრამ CART-ის მთავარ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ იტალიელი პილოტი კვლავ სტარტზე გამოვიდა. საასპარეზოდ პილოტები ასეთი თანმიმდევრობით გამოვიდნენ: ზანარდი (რჰ) 1.35,940; ტრეისი (პმ) 1.36,140; ვასერი (რჰ) 1.36,441; მური (რმ) 1.36,754; ბლანდელი (რმ) 1.36,754; ჯონსტონი (რჰ) 1.36,772; პრუეტი (რფ) 1.36,831; გუჟელმინი (რმ) 1.36,896; ფიტიპალდი (სფ) 1.36,945; რაჰალი (რფ) 1.37,078; დე ფერანი (რჰ) 1.37,324; ანდრეტი (სფ) 1.37,371; ფრანკიტი (რმ) 1.37,592; რიბეირო (ლჰ) 1.37,646; ფერნანდესი (ლჰ) 1.37,819; ჰერტა (რფ) 1.37,895; ანსერი (პმ) 1.38,218; სალეში (რფ) 1.38,325; ბოესელი (რფ) 1.38,521; ჰერნი (ლფ) 1.38,990; კარპენტიე (რმ) 1.39,595; პაპისი (რტ) 1.39,927; ფანხიო II (რტ) 1.39,981; ჯასპერი (ლლფ) 1.40,138; პ-ჯ. ჯონსი (რტ) 1.40,505; ჟურდანი (ლფ) 1.41,871; მეირი (ლფ) 1.42,316; მაცუშიტა (რტ) 1.42,795.

სტარტი ზანარდიმ მოიგო და პირველი წრეც პირველმა გაიარა, მაგრამ წრის ბოლოს დე ფერანი ფიტიპალდის „სვიფტს“ შეეჯახა უკნიდან. ეს უკანასკნელი კი ბეტონის ბარიერს შეასკდა. მომსახურე პერსონალი ათ წუთს მოუნდა დაზიანებულ ბოლიდში ჩაჭედილი ფიტიპალდის დახსნას. ახალგაზრდა ბრაზილიელმა ოთხ ადგილას მოიტეხა ფეხი და სამი თვით გამოემშვიდობა რბოლებს. ამ ინციდენტის გამო ასპარეზობა შეწყდა და მხოლოდ ტრასის მოწესრიგების შემდეგ განახლდა. განმეორებითი სტარტისას კვლავ ზანარდიმ ივარგა და თვრამეტი წრის განმავლობაში ლიდერობდა რბოლას, მე-19 წრეზე კი იტალიელი კანადელმა პოლ ტრეისიმ ჩამოიტოვა და კარგა ხანს პირველობდა კიდეც. შემდეგი ორი წრის განმავლობაში ლიდერობას რბოლის დებიუტანტმა, გერმანელმა მეიერმაც გაუსინჯა გემო. 42-ე წრეზე ზანარდი და ტრეისი შეეჯახნენ ერთმანეთს და პირველ ადგილზე სკოტ პრუეტი აღმოჩნდა.

56-ე წრის ბოლოს რბოლისთვის განკუთვნილი 2 საათი ამოიწურა და ორგანიზატორებმაც ბოლო წრის მაჩვენებელი თეთრი ალამი გამოფინეს. სკოტ პრუეტმა სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა, მეორეზე გასული გრეგ მური (კანადა) მას მხოლოდ 0,684 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილი მაიკლ ანდრეტის (აშშ) ერგო, რომელმაც სტარტი მე-12 პოზიციიდან აიღო, მაგრამ ჩინებულად იასპარეზა და პოდიუმზე აღმოჩნდა, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დებიუტანტის „სვიფტის“ შასი ბევრად არ ჩამოუვარდება ფავორიტებს — „პენსკესა“ და „რეინარდს“. დე ფერანი, რომელმაც პირველი წრის ბოლოს მომხდარ ავარიაში დაიდო ბრალი, ავარიის შემდეგ სათადარიგო ბოლიდით ასპარეზობდა. საბოლოოდ მე-5 ადგილზე გავიდა. ჩასათვლელ დუჟინში ჩემპიონატის ერთ-ერთი დებიუტანტი, შოტლანდიელი დარიო ფრანკიტიც მოხვდა.

**ალეკო ჭაბუკიანი**

რბოლის შედეგები.

დისტანცია 57 წრე — 159,315 მილი

| | | |
|---|---|---|
| 1. პრუეტი (რფ) | 2:01.4,0 | 20 ქულა |
| 2. მური (რმ) | | 16 |
| 3. ანდრეტი (სფ) | | 14 |
| 4. ზანარდი (რჰ) | | 12 |
| 5. დე ფერანი (რჰ) | | 10 |
| 6. რიბეირო (ლჰ) | | 8 |
| 7. ბოესელი (რფ) | | 6 |
| 8. ბლანდელი (რმ) | | 5 |
| 9. ფრანკიტი (რმ) | | 4 |
| 10. რაჰალი (რფ) | | 3 |
| 11. ფერნანდესი (ლჰ) | | 2 |
| 12. ვასერი (რჰ) | | 1 |

პოლ ტრეისიმ (პმ) ლიდერობისთვის 1 ქულა მიიღო.

პირადი პირველობა:

1. ანდრეტი 35 ქულა; 2. პრუეტი 30; 3. მური 28; 4. ზანარდი 20; 5. ტრეისი 17; 6. ვასერი 15; 7. დე ფრანი 10; 8. რიბეირო 9; 9. გუჟელმინი 8; 10. ბოესელი 6; 11-12. ბლანდელი, ჯონსტონი 5-5

შემოკლებები: რ — რეინარდი, პ — პენსკე, ლ — ლოლა, ს — სვიფტი, ფ — ფორდი, ჰ — ჰონდა, მ — მერსედესი, ტ — ტოიოტა



ასე გააგზავნა ჟილ დე ფერანმა თანამემამულე კრისტიან ფიტიპალდი ჰოსპიტალში

# ჭადრაკი

# ახლა ქალთა პირველობა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაწყებულ საქართველოს ქალთა ჩემპიონატს სამი ტურის შემდეგ სამი ლიდერი ჰყავს: მირანდა ხორავა, რომელმაც ინგა ჭარხალაშვილს მოუგო, თამარ ფაჩულია (დაამარცხა სოფიკო ნიკოლაძე) და სოფიკო გვეტაძე (სძლია თამარ ხმიადაშვილს). ამ სამეულს ქულა არ დაუკარგავს. 2,5-2,5 ქულა აქვთ ნათია აფხაიძეს, იამზე თვაურს, ანა მათნაძეს, სოფიკო ტყეშელაშვილს, სოფიკო ტერელაძეს და ინგა ხურციძავას.

# ჰოკეი

**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

4 აპრილი. ბუფალო — რეინჯერსი 5:1, ნიუ ჯერზი — ტამპა 3:0, ვანკუვერი — კალგარი 3:3, სან ხოსე — კოლორადო 7:6, ანაჰაიმი — დალასი 6:2.

5 აპრილი. ბუფალო — ფლორიდა 4:2, პიტსბურგი — ოტავა 5:2, მონრეალი — ჰართფორდი 1:4, აილენდერზი — ტამპა 2:3, ტორონტო — დეტროიტი 2:4, ედმონტონი — ვანკუვერი 2:2, ლოს ანჯელესი — დალასი 3:3.

6 აპრილი. ფილადელფია — ოტავა 2:1, ვაშინგტონი — ფლორიდა 3:3, სენტ ლუისი — ნიუ ჯერზი 2:0, კოლორადო — ფინიქსი 2:1, კალგარი — ჩიკაგო 1:2.

ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი კვირით ადრე სტენლის თასის უკვე 12 მონაწილეა ცნობილი. დასავლეთში, სადაც ყველა დიდ ბრძოლასა და კონკურენციას ელოდა, ყველაფერს ნათელი მოჰფინა კალგარიმ, რომელმაც ვერ გაუძლო დაძაბულობას და დარჩენილ სამ მატჩში მხოლოდ სასწაულის იმედი უნდა ჰქონდეს.

კალგარის ბედი კვირას, ჩიკაგოსთან დუელში გადაწყდა. მანამდე კალგარელებმა ვანკუვერში დაკარგეს ქულა, თუმცა, ოვერტაიმში ფლერიმ (1+1) და ახალშეძენილმა მაკინისმა რამდენიმე მომენტი გაუშვეს ხელიდან. ჩიკაგოსთან კალგარიმ ძალები მოიკრიბა და თავიდანვე შეუდგა „ქორების“ კარის შტურმს, მაგრამ საუცხოო იყო სტუმართა მეკარე ჰეკერტი. მას არც პარტნიორებმა უმტყუნეს და მესამე პერიოდში „ქორების“ კაპიტანმა ჩელიოსმა (1+1) დაასამარა მასპინძელთა იმედები.

აღნიშვნის ღირსია ანაჰაიმის მიღწევა. პირველად თავის ხანმოკლე ისტორიაში „იხვებმა“ ფლეი-ოფს მიაღწიეს და აამაღლეს კალიფორნიული კლუბების ერთგვარად შელახული პრესტიჟი.

უსაგზუროდ არც ფინიქსი დარჩა. კოლორადოში მარცხის მიუხედავად „კოიოტებმა“ მაინც მოიპოვეს თასზე თამაშის უფლება. გუნდის წარმატებას მისი საუკეთესო სნაიპერის ტკაჩუკის მიღწევაც დაემატა, რომელმაც პირველმა გადალახა 50 შაიბიანი ზღვარი.

ერთპიროვნული ლიდერის — კოლორადოს შერკინება სან ხოსესთან მასხარაობას უფრო ჰგავდა, ვიდრე ნჰლ-ის მატჩს. გუნდებმა აბუჩად აიგდეს დაცვა და ავანტიურულ ჰოკეის მიმართეს. უსუსურად ითამაშეს კლუბების სათადარიგო გოლკიპერებმა, რაც 13 შეგდებულ შაიბაში გამოიხატა. უფრო იღბლიანი მასპინძლები აღმოჩნდნენ, სამაგიეროდ, „ეველანშის“ ლიდერებმა საკიკმა (1+2), ფორსბერგმა (1+1) და კამენსკიმ (1+2) ქულები დააგროვეს.

კიდევ ერთი საგზური ედმონტონმა მოიპოვა, რომელმაც შაბათს დაზავება იკმარა, თუმცა მისმა მეტოქემ ვანკუვერმა მხოლოდ მატჩის ბოლოსწინა წამზე (!) გაქვითა ანგარიში.

აღმოსავლეთში დარჩენილ ორ საგზურს კვლავ 6 გუნდი ედავება ერთმანეთს, მაგრამ ყველაზე დიდი ბრძოლის გადატანა აილენდერზს და ვაშინგტონს მოუწევთ. განსაკუთრებით დასანანია ვაშინგტონის უხეირობა: გუნდი ნამდვილად არის საგზურის ღირსი, მაგრამ წამყვანი მოთამაშეები ტრავმებმა გააწვალა, რის გამოც სეზონის უმეტეს მატჩში „კეპიტოლზმა“ ოპტიმალური შემადგენლობა ვერ ათამაშა. ფლორიდასთანაც ვაშინგტონს ოუთსი და ტოკეტი აკლდა, თუმცა ბონდრამ მაინც თქვა თავის სიტყვა და ბოლო წუთზე შეგდებული შაიბის შემდეგ კლუბს მინიმალური შანსი შეუნარჩუნა.

**სამველ ლარიბიანი**

აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ნიუ ჯერზი* | 78 | 44 | 13 | 21 | 223-171 | 101 |
| *ფილადელფია* | 78 | 44 | 12 | 22 | 261-201 | 100 |
| *ბუფალო* | 78 | 39 | 12 | 27 | 227-194 | 90 |
| *ფლორიდა* | 80 | 33 | 19 | 28 | 213-197 | 85 |
| *პიტსბურგი* | 78 | 37 | 8 | 33 | 274-264 | 82 |
| *რეინჯერზი* | 79 | 36 | 10 | 33 | 247-222 | 82 |
| მონრეალი | 78 | 29 | 14 | 35 | 239-268 | 72 |
| ჰართფორდი | 78 | 30 | 11 | 37 | 212-242 | 71 |
| ოტავა | 79 | 28 | 15 | 36 | 217-228 | 71 |
| ტამპა | 78 | 30 | 9 | 39 | 206-238 | 69 |
| ვაშინგტონი | 79 | 30 | 9 | 40 | 197-224 | 69 |
| აილენდერზი | 78 | 28 | 12 | 38 | 230-235 | 68 |
| ბოსტონი | 78 | 25 | 9 | 44 | 225-287 | 59 |

დასავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *კოლორადო* | 79 | 48 | 9 | 22 | 272-196 | 105 |
| *დალასი* | 78 | 47 | 7 | 24 | 244-187 | 101 |
| *დეტროიტი* | 78 | 37 | 17 | 24 | 244-186 | 91 |
| *ანაჰაიმი* | 80 | 34 | 13 | 33 | 297-229 | 81 |
| *ფინიქსი* | 79 | 37 | 6 | 36 | 228-233 | 80 |
| *ედმონტონი* | 79 | 36 | 8 | 35 | 243-233 | 80 |
| სენტ ლუისი | 79 | 33 | 11 | 35 | 227-237 | 77 |
| ჩიკაგო | 79 | 32 | 13 | 34 | 211-204 | 77 |
| კალგარი | 79 | 32 | 9 | 38 | 208-225 | 73 |
| ვანკუვერი | 79 | 32 | 7 | 40 | 243-263 | 71 |
| ტორონტო | 79 | 29 | 8 | 42 | 223-264 | 66 |
| ლოს ანჯელესი | 79 | 26 | 11 | 42 | 205-261 | 63 |
| სან ხოსე | 78 | 26 | 8 | 44 | 201-266 | 60 |

დახრილი შრიფტით გამოყოფილია სტენლის თასზე გასული გუნდები

## ველორბოლა

# ბოლო სპურტით

31 წლის დანიელი როლფ სორენსენი 12 წელია პროფესიონალი, მაგრამ კარიერის უდიდესი გამარჯვება კვირასღა მოიპოვა, როცა მოიგო თითოდღიანი საგზატკეცილო ველორბოლის მსოფლიო თასის მეორე შეჯიბრი — ფლანდრიის 81-ე ტური.

სენტ-ნიკლაასი — მეერბეკე (ბელგია; 256 კმ): 1. სორენსენი 5 საათი: 57 წუთი. 01 წამი; 2. ფრედერიკ მონკასენი (საფრანგეთი) ჩამორჩა 5 წამით; 3. ფრანკო ბალერინი (იტალია) და 4. ანდრეი ჩმილი (უკრაინა) .08; 5. დავიდე კაზაროტო (იტალია) .20; 6. კლაუდიო კიაპუჩი (იტალია) .21; 7. მიკელე ბარტოლი (იტალია), 8. ჯო პლანკერტი (ბელგია), 9. პეტერ ფანპეტეპემი (ბელგია), 10. ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი) და 11. მაქს შანდრი (ბრიტანეთი) .27; 12. შტეფენ ვასერმანი (გერმანია), 13. იოჰან მიუზეუვი (ბელგია), 14. ლეონ ფანბონი (ჰოლანდია) და 15. პენკ ფოგელსი (ავსტრია) 2.09; 16. ბრიუნო ბოსკარდენი (შვეიცარია) 2.12

ორი რბოლის ჯამი: სორენსენი 124 ქულა; ერიკ ცაბელი (გერმანია) 100; მონკასენი და ალბერტო ელი (იტალია) 70; ბარტოლი 64; კაზაროტო 51; ბალერინი და ბიაჯო კონტე (იტალია) 50; ჩმილი და ფრანჩესკო კაზაგრანდე (იტალია) 40

შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი და თასის მფლობელი მიუზეუვი მესამედ გეგმავდა ფლანდრიაში გამარჯვებას, რაკი ბოლო ხუთი წლის მანძილზე ერთთავად სამეულში ხვდებოდა, მაგრამ ფინიშამდე 30 კმ რომ დარჩა, ბოსკარდენი უკანა ბორბალზე დაეჯახა და მანქანა დაუმტვრია. ბელგიელი წინა ეტაპზე (მილანი — სან-რემო) ფინიშთან წარმოქმნილ ზედახორაში მოყვა, ამჯერად კი შეძლო რბოლის გასრულება.

გამარჯვებული სორენსენი მეტწილად მოლიდერე ჯგუფში იყო. ფრანგი ლორან ჟალაბერი ბოლო სამი წლის მანძილზე პირველად წვეოდა ფლანდრიას და ძალიანაც აქტიურობდა, მაგრამ მოწინავეებმა დაბა ბერენდრისს რომ უწიეს და ქვით მოკირწყლულ აღმართს შეუყვნენ, ლორანი გატყდა. მიუზევსაც ამ დროს დაეჯახნენ.

სორენსენი, ბალერინი და ფანპეტეჰემი წინ გაიჭრნენ, მაგრამ მდევართა ათკაცა რაზმი ლტოლვილებს ბოსბერგთან წამოეწია. ფინიშამდე 8 კმ რომ რჩებოდა, წინ მონკასენი გავარდა, მაგრამ სორენსენმა და ბალერინიმ ალაგმეს. ბოლო კილომეტრზე იძალა დანიელმა, ვინაც პირველ შეჯიბრში VIII ადგილს დაჯერდა, იმ რბოლის გამარჯვებული ცაბელი კი ფლანდრიაში 38-ე ადგილზე დარჩა.

სორენსენი პროფესიონალი ველომრბოლის გაჟია. თავიდან საქმე კარგად მისდიოდა. 1991 წელს „მილან — სან-რემოში" II ადგილი დაიჭირა, „ფლანდრიაში" — III, ხოლო „ლიეჟ — ბასტონ — ლიეჟში" — IV. „ტურ-დე-ფრანსის" სტარტზე ოთხი დღის მანძილზე ლიდერის ყვითელი კვართიც ემოსა, მაგრამ მერე დაეცა და ლავიწი მოიტეხა.

1993 წელს როლფმა „ლიეჟ — ბასტონ — ლიეჟი" მოიგო, შარშან კი ჰოლანდიაში დასახლდა, იქაურ „რაბობანკთან" გაფორმა კონტრაქტი და საფრანგეთის ტურის XIII ეტაპიც მოიგო.

## ჩოგბურთი



პილტონ-ჰედ-აილენდი (ფლორიდა, აშშ). „ფემილი სერქლ მეგეზინის" ქალთა თასი. „სიი პაინზ რექით" კლუბის თიხნარი

მეოთხედფინალები (4. 04): მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 1) — ვილტრუდ პრობსტი (გერმანია) 6:2, 6:0; მონიკა სელეში (აშშ, 4) — ანკე პუბერი (გერმანია, 7) 6:3, 6:0; ბრენდა შულცი (ჰოლანდია, 14) — ლინდზი დავენპორტი (აშშ, 6) 4:6, 6:4, 6:2; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 5) — ამანდა კუტცერი (სამხრეთი აფრიკა, 13) 6:1, 6:3

ნახევარფინალები (5. 04): ჰინგისი — შულცი 5:7, 6:3, 6:2; სელეში — მარტინესი 6:3, 6:4

ფინალი (6. 06): ჰინგისი — სელეში 3:6, 6:3, 7:6 (7-5)

წყვილთა ფინალი (6. 06): ჰინგისი და მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ) — დავენპორტი და იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) 7:5, 4:6, 6:1

# მონიკა მარტინას გაუძალიანდა

16 წლის ჰინგისმა წელს მეექვსე ტურნირი და ზედიზედ 31-ე მატჩი მოიგო, მაგრამ გადაიღალა. გაუჭირდა ნახევარფინალში, ფინალი კი კინაღამ წააგო თავისსავე წინამორბედ სელეშთან (ფოტოზე), ვინაც რვა დღის წინ კი-ბისკეინურ ფინალში 44 წუთში გაათახსირა.

ამჯერად 14 წუთის შემდეგ ჰინგისი 0:5 აგებდა. მეორე ხელში მარტინამ ბურთის გათამაშება გააჯანსაღა და წალმა დარტყმებით სელეშს ბევრჯერ ჩაუგდო მოედნის კიდეებზე. მესამე ხელში გოგო 5:2 დაწინაურდა, მაგრამ მერე ზედიზედ 10-ჯერ შეცდა. სელეში 6:5 გაიჭრა წინ და თაი-ბრეიქის მოგებამდე ორი ქულაღა დააკლდა. საბოლოოდ ჰინგისმა მესამედ ძლია სელეში და ჯილდოდ 150 ათასი დოლარი მიითვალა.

### დევისის თასის მსოფლიო ჯგუფი

მეოთხედფინალი

4-6 აპრილი

**აშშ 4-1 ჰოლანდია**

1-0 ანდრე აგასი — შენგ სხალკენი 7:6 (8-6), 6:4, 7:6 (7-2)
2-0 ჯიმ კურიე — იან სიმერინკი 4:6, 4:6, 6:1, 7:6 (7-4), 6:3
2-1 პაულ ჰაარჰუისი და იაკო ელტინჰი — რიკ ლიჩი და ჯონათან სთარქი 6:4, 6:4, 3:6, 6:3
3-1 აგასი — სიმერინკი 3:6, 3:6, 6:3, 6:3, 6:3
4-1 სთარქი — სხალკენი 6:4, 6:0

**ავსტრალია 5-0 ჩეხეთი**

1-0 პატ რაფთერი — მარტინ დამი 6:1, 7:6 (9-7), 4:6, 6:4
2-0 მარკ ფილიპუსისი — დავიდ რიკლი 6:1, 6:4, 2:6, 6:4
3-0 თოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი — დამი და რიკლი 4:6, 6:1, 7:5, 6:4
4-0 ფილიპუსისი — დამი 6:4, 6:2
5-0 რაფთერი — რიკლი 7:6 (15-13), 0:6, 6:2

**შვედეთი 3-2 სამხ. აფრიკა**

1-0 თომას ენკვისტი — გრანტ სტაფორდი 7:5, 2:6, 6:4, 6:1
1-1 ვეინ ფერერა — იონას ბიორკმანი 6:3, 6:4, 2:6, 7:6 (7-3)
2-1 ბიორკმანი და ნიკლას კულტი — დევიდ ადამსი და ელის ფერერა 7:5, 2:6, 6:4, 6:7 (6-8), 6:2
2-2 ვ. ფერერა — ენკვისტი 6:4, 6:4, 6:4
3-2 ბიორკმანი — სტაფორდი 3:6, 6:0, 3:6, 6:2, 6:2

**იტალია 4-1 ესპანეთი**

1-0 ომარ კამპორეზე — კარლოს მოია 6:7 (8-10), 6:7 (4-7), 6:1, 6:3, 6:3
2-0 რენცო ფურლანი — ალბერტ კოსტა 4:6, 6:3, 4:6, 6:4, 6:1
3-0 კამპორეზე და დიეგო ნარჯიზო — ფრანსისკო როიხი და ხავიერ სანჩესი 5:7, 7:6 (7-0), 6:2, 7:6 (7-5)
3-1 მოია — მარციო მარტელი 7:6 (7-5), 4:6, 6:3
4-1 კამპორეზე — კოსტა 6:2, 3:6, 6:4

ნახევარფინალები. 19-21. IX: აშშ — ავსტრალია, შვედეთი — იტალია

სენსაცია პეზაროში მოხდა, გმირი კი 28 წლის კამპორეზე იყო. იგი მსოფლიოს 156-ე ჩოგანი კია, მაგრამ ჭერ იყო და პარასკევს, ორი წაგებული თაი-ბრეიქის შემდეგ უეცრად დაანგრია მე-8 ჩოგანი მოია, შაბათს წყვილთა თარნიგშიც ითამაშა და იქაც მოიგო, კვირას კი ძლეულთა კოლექცია მე-12 ჩოგნის — კოსტას სკალპით შეივსო. ყველაფერი ორ დღეში რომ გადაწყდა, იტალიელი მეწყვილეები კორტზე წამოწვნენ და ნალდ მამათმავლურ ალერსს საჯაროდ მიეცნენ.

ნიუპორტ-ბიჩში (ფლორიდა) ამერიკელებმა ბებრები — კურიე (მე-17) და აგასი (29-ე) ათამაშეს. ძალისმიერად მობურთალი სიმერინკი (22-ე) ორივეს 2-0 უგებდა, მაგრამ ჯიმთან 3 საათსა და 24 წუთში მაინც წააგო, ანდრესთან კი — 2 საათსა და 48 წუთში. კვირის გამარჯვების შემდეგ აგასის დევისის თასური ბალანსი 24-4 გაუხდა, მასპინძელთა კაპიტან თომ გალიქსონს კი ლას-ვეგასელი კოხტა-პრუწას გამარჯვება ისე გაეხარდა, რომ გადაეხვია.

ადელაიდაში ავსტრალიამ ნულზე დაამარცხა ჩეხეთი, რომელსაც აკლდნენ სათასო პენსიაზე გასული პეტრ კორდა და კიდევ ულიჰრახი, ვაჩეკი და დოშედელი. იოლმა მოგებამ ავსტრალიელთა კაპიტანი ჯონ ნიუკომბი ისე გაათამამა, რომ მედიას განუცხადა, ახლა ამერიკასაც დავანგრევთ თავის პიტ სამპრასიანადო.

ვექშოში „შვედთა მმუსრველად" ცნობილი ვეინ ფერერა მარტო ეომა მასპინძლებს, რომლებმაც ზედიზედ მეექვსედ უწიეს ნახევარფინალს. ფერერამ ორივე „სინგლში" გაიმარჯვა, ანგარიში ორჯერ გაათანაბრა და შვედებს ახლა 11-1 უგებს, მაგრამ ბიორკმანმა სტაფორდი ორ-საათ-ნახევარში მაინც დაამარცხა.

## ტელევიზია

### საქართველოს დროით!

დღეს, სამშაბათს, 8 აპრილს

11.30 [illegible]; 12.00 ავტორბოლა: ნასკარი. ვინსტონ-შის [illegible] სერიალი. [illegible]დან; 13.00 [illegible] ავტორბოლა. [illegible]დან; 14.30 მოტოკროსის ჟურნალი „ქიკ"; 15.00 რალი (-); 15.30 საფეხბურთო ჟურნალი „ევრო-გოლები"; 16.30 აფროსნობა: მელბურნის დიდი პრიზი; 17.00 ღლაბუცი: „შეახტი ავტობუსს!"; 18.00 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: კანადა — სალვადორი; 20.00 ტრაქტორობანა: ევროპის თასი. დანიიდან; 21.00 სამოტოციკლო ჟურნალი „თვლები"; 21.30 მოტოციკლი: „მაქს ბიაჯის პორტრეტი"; 22.00 მოტოციკლი: სეზონის წარდგენა; 23.00 ფაეტონებით რბოლა; 23.30 კრივი: ბუმბულზე უმჩატესი წონა. ფერადას-კუზო — დორდიგესი (პ); 1.30 რალი (-); 2.00 ფეხბურთი: უეფას თასის ნახევარფინალი. ინტერი — მონაკო; 3.30 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი. ტამპადან (ფლორიდა) (4.30-მდე)

ხვალ, ოთხშაბათს, 9 აპრილს

11.30 რალი (-); 12.00 „ევრო-გოლები" (-); 13.00 ავტორბოლა: ინდიკარის მსოფლიო სერიალი. ქვინზლენდიდან; 14.30 „თვლები" (-); 15.00 რალი (-); 15.30 ფეხბურთი: ინტერი — მონაკო (-); 17.00 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ"; 17.30 ფათერაკები: ბერინგის სრუტის დაფით გადაცურვა; 18.00 ველორბოლა: ფლანდრიის ტური (პ 18.30-დან); 20.00 ჩოგბურთი: ეშტორილიდან (პორტუგალია); 21.30 ავტოჟურნალი „ძრავები"; 23.00 გამოცდა: ჭერქვეშა მსოფლიო თასი. ბერსიდან; 24.30 ბუნიკობანა. გერმანიიდან; 1.30 რალი (-); 2.00 კრივი: ქვემძიმე წონა. იუბენქი — ალარკონი (10 რაუნდი); 3.00 ჩოგბურთი: ატპ-ის ტური (მ); 4.00 მოტოციკლი: სეზონის წარდგენა (4.30-მდე)

დღეს, სამშაბათს, 8 აპრილს

7.30 აზიური ფეხბურთი (მ); 8.30 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი (-); 9.30 მსოფლიო სპორტი (მ); 10.30 კრიკეტი: შარჯას თასი. პაკისტანი — შრილანკა (პ); 14.15 ინდური სპორტი (მ); 14.45 კრიკეტი (გ); 18.30 წმინდასისხლიანთა დოლი: კასტროლის თასი; 19.00 კრიკეტი: ვესტ-ინდოეთი — ინდოეთი. IV ტესტი, V დღე. ანტიგუადან (პ); 21.00 კრიკეტი: შარჯა (რ); 21.45 კრიკეტი: V დღე (გ); 2.00 აზიური ფეხბურთი (მ); 3.00 სინგაპურის სრუტის რეგატა; 3.30 გოლფი: აშშ-ის ტური. მოთამაშეთა პირველობა. ბოლო დღე; 6.00 აზიური სპორტი (მ); 6.30 კრიკეტი: V დღე (რ)

ხვალ, ოთხშაბათს, 9 აპრილს

7.30 კრიკეტი: სამხ. აფრიკა — ავსტრალია. V თითოდღიანი (რ); 8.30 კასტროლის დოლი (-); 9.00 მოტოციკლი: სუპერ-ბაიკის მსოფლიო პირველობა. ავსტრალიის დიდი პრიზი; 10.30 კრიკეტი: შარჯა. ზიმბაბვე — პაკისტანი (პ); 14.15 დოლი (-); 14.45 კრიკეტი: შარჯა (-); 18.30 კრიკეტი: V თითოდღიანი (რ); 19.30 კრიკეტი: V დღე (რ); 20.30 რესლინგი; 23.30 სუპერ-ბაიკი (-); 1.00 გოლფი: ევროპის ტური. საპარის თასი; 2.00 კრიკეტი: V თითოდღიანი (რ); 3.00 ცხენოსნობა: ვოლვო (-); 4.00 (?); 4.30 მსოფლიო რაგბი; 6.30 რესლინგი

ზეგ, ხუთშაბათს, 10 აპრილს, შუადღემდე

9.30 კრიკეტი: შარჯა (რ); 10.00 რეგატა (-); 10.30 აზიური ფეხბურთი (-); 11.30 გოლფი: საპარა (-); 12.30 კრიკეტი: V დღე (რ); 13.30 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 14.30 კალათბურთი: ნბა. კვირის რჩეული მატჩი: სიეტლი — დალასი

(-) იგივე; (?) ექსპრომტად; (ა) ახალი ამბები; (გ) გაგრძელება; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

## რაგბი

# ომი გრძელდება

სამხრეთი აფრიკა ახალ ზელანდიას დროდადრო უკადრისი ხერხებით ებრძვის. ხან ლომუს ფინალის წინ ქალს მიუგზავნის, ხან კი რესტორნის იდუმალი მიმტანი სუზი მეტოქის გუნდს საჭმელში სასაქმებელს ჩაუყრის.

ნატალმა ველინგთონს ძლივს, ბოლო წუთებზე რომ მოუგო, მისი 23 წლის გარემარბი როჯერ რენდელი დააჭერინა. მავანმა 31 წლის აფრიკელმა ქალმა ზელანდიელ მორაგბეს უჩივლა, თამაშის შემდეგ გამაუპატიურაო. ეს ქალი სხვა ველინგთონელ მოთამაშეს სასტუმროს ბარში გაუცვნია, შემდეგ თავად საცურაოდ წასულა, აფრიკელი კი აუგზავნია ნომერში, სადაც იგი რენდელს გადაყრია.

მოძალადე გუშინ გაასამართლეს და თავდებით შინ, ოჯახში გაუშვეს. იგი ამ კვირაში ვერ ითამაშებს. ისე კი, ვექილის დაქირავებს აპირებს.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

### ზე-12-ის სერიალი

VI კვირა: 4. 04. ოქლენდი (ზელანდია) — ქენთებრი (ზელ) 29:28, კანბერა (ავსტრალია) — ნარინჯი (აფრიკა) 50:23, ნატალი (აფრ) — ველინგთონი (ზელ) 29:24; 5. 04. ქვინზლენდი (ავს) — ოთაგო (ზელ) 37:24; 6. 04 ახ. სამხრ. უელსი (ავს) — ჩრდ. ტრანსვაალი (აფრ) 43:29

კანბერა 21 ქულა (6 თამაშიდან); ნატალი, ოქლენდი და პაუტენპი (აფრ) 20 (5); ნარინჯი 14 (6); ველინგთონი და ვაიქათო (ზელ) 12 (5); ახ. სამხრ. უელსი 11 (5); ქენთებრი 10 (5); ჩრდ. ტრანსვაალი 9 (6); ქვინზლენდი 6 (6); ოთაგო 6 (5)

ამ შაბათს ჩემპიონი ოქლენდი ლიდერ კანბერას ლომუს მშობლიურ ქალაქ პუკეკოეში მასპინძლობს. კანბერამ შარშან ოქლენდს შინ 40:34 მოუგო.

## დოლი



ცხენოსანმა პოლიციამ ხალხი დინჯად გახიზნა (ასოშიეითიდ პრესი)

# აი-არ-ეი დოლსაც მიწვდა

ბრიტანეთში 1 მაისს საყოველთაო არჩევნები რომაა, ირლანდიის გამთლიანებისათვის მომეცადინე ექსტრემისტული ორგანიზაცია — „ირლანდიის რესპუბლიკური არმია" (IRA; აი-არ-ეი) გააქტიურდა. წინა კვირაში საძულველ დამპყრობელს ორჯერ მოაწყობინა განგაში, ასეო და ყუმბარა დავფალით და აგიფეთქდებათო.

პირველ ჯერზე ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ავტო-მაგისტრალი გადაიკეტა და საზოგადოებაც გვარიანად შეწუხდა. მეორედ სულ მთლად გაუგონარი რამ მოხდა — ტერორისტთა შანტაჟის გამო ჩაიშალა ბრიტანული კულტურის ერთი სიამაყეთანი — ლივერპულის საქვეყნოდ ცნობილი სტიპლ-ჩეიზი, შაბათს, 5 აპრილს 150-ედ (!) რომ უნდა გამართულიყო.

ეინთრის იპოდრომზე იმ დღეს 70 ათასი მოსეირე შეიკრიბა. მსოფლიო ტელეაუდიტორიამ 400 მილიონი შეადგინა. ფსონებად 75 მილიონი გირვანქა დაიდო. ყველა ბრიტანელს წესადა აქვთ, ტოტალიზატორი წელიწადში ერთხელ მაინც ითამაშოს — „დიდ ეროვნულ დოლზე". კოეფიციენტებიც მადის აღმძვრელი იყო. რაკი 38 ცხენიდან აშკარა ფავორიტად არავინ მიაჩნდათ, ყველაზე სარწმუნო შედეგის გამომცნობს ფსონს გაუ-შვიდ-მაგებდნენ.

სტარტი ჩვენებური დროით 19 საათსა და 45 წუთზე იყო დანიშნული. მონაწილენი უკვე მოთელვას შედგომოდნენ, როცა მავანმა პოლიციას დაურეკა და მოახსენა, ყუმბარას ავაფეთქებთო. პოლიცია ციმციმ შეეხმიანა ეინთრის მთავარ კლერკ ჩარლი ბარნეთს. მანაც სტარტის გადადება დაადგინა.

პოლიციამ ხალხს ასპარეზის შუაგულში დაუპირა გახიზვნა. ევაკუირებულებში ერივნენ უფლისწული ანა და კინოვარსკვლავი გრეგორი პეკი, ვინაც იმ დღეს 81 წლისა მოიყარა. პანიკა არ ამტყდარა, მაგრამ სარბიელი მაინც გაითელა და ღობეებიც წამოიქცა.

რაკი დოლის ორგანიზატორებიც გახიზნეს, ისინი დროით ვერ შეიკრიბნენ და შეჯიბრის ახალი ვადა კვირასღა დადგინდა პოლიციასთან კონსულტაციის შემდეგ. წესრიგის დამცველებმა 7 ათასი მანქანა გაჩხრიკეს და ორი ყუმბარა მართლაც გააუვნებლეს.

ხალხმა ღამე ახლო-მახლო ოტელებსა და სკოლებში გაატარა, რაკი უმანქანებოდ შინ ვერ წავიდა. ცხენები თავლებში დაიმშნენ. ბრიტანეთისა და ირლანდიის პრემიერ-მინისტრებმა — ჯონ მეიჯორმა და ჯონ ბრუთონმა შეაჩვენეს აი-არ-ეი, აქაო და ამ ერთხელაც დაგვანახა, უბრალო ხალხის სიცოცხლე რომ არად უღირსო.

დოლი წუხელ, ჩვენებურად 9 საათზე უნდა გამართულიყო.

## მძლეოსნობა

კვირა, 6 აპრილი. პარიზის 21-ე მარათონი. ვაჟები: 1. ჯონ კემბოი (კენია) 2 საათი: 19 წუთი. 14 წამი; 2. ლუკეც სვარტბუი (ნამიბია) 2:11.28; 3. ანტონიუ როდრიგეში (პორტუგალია) 2:12.12. ქალები: 1. ჰელენა რაზდროგინა (რუსეთი) 2:29.10; 2. ალინა ტეკუცა (რუმინეთი) 2:29.24; 3. იუდით ნადი (უნგრეთი) 2:31.56

ამ კვირას ლონდონის მარათონია!



ელისეს მინდვრები, ტრიუმფალური თაღი და მორბენლები (ასოშიეითიდ პრესი)

კვირას, 1997 წლის 20 აპრილს
სირბილის მოყვარულთა კლუბი „კუ"
მართავს
ერთგულების თასის
მძლეოსნურ კროსს



ტრასა: ვაკის პარკის ხეივნებში
დისტანცია: 4 წრე - 5 240 მეტრი
სტარტი: 11 საათზე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29